№ 58
შაბათი 16 მარტი, 1902 წ.

1877—1902

# ივერია

№ 58
შაბათი 16 მარტი, 1902 წ.

გაზეთი ღირს:

| თვე | | მან. | კ. | თვე | | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 12 | . . . | 10 | — | 6 | . . . | 6 | — |
| 11 | . . . | 9 | 50 | 5 | . . . | 5 | 50 |
| 10 | . . . | 8 | 75 | 4 | . . . | 4 | 75 |
| 9 | . . . | 8 | — | 3 | . . . | 3 | 50 |
| 8 | . . . | 7 | 25 | 2 | . . . | 2 | 75 |
| 7 | . . . | 6 | 50 | 1 | . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერი შაურ ‹

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

რედაქცია
ნიკოლოოზის ქუჩა, № 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 10 კაპ.
მეოთხეზედ—5 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

## 1 მარტიდგან წლის დამლევამდე გაზეთი „ივერია“

ღირს რვა მანეთად და თხუთმეტ შაურად (8 მ. და 75 კ.)
ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.
ხელის მოწერა მიიღება:

ტფილისში:—„ივერიის“ რედაქცია (ნიკოლოოზის ქუჩა № 21) და ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებ. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).
ქუთაისში:—ბეჟანიშვილის წიგნის მაღაზიასა და ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზია.
ბაქოში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).
ხონში:—ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.
ცალკე ნომრები, ტფილისს გარეთ, იყიდება ქუთაისსა და ხონში ზემოხსენებულს წიგნის მაღაზიებში.
საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверіа“. ტელეფონი № 227.

კავკასიის სასოფლო-მეურნეობის საზოგადოების სახლში იყიდება

## აბრეშუმის ჭიის თესლი

იტალიისა, საფრანგეთისა და ბაღდადის ჯიშისა. (3—6.—2)

ექიმი
ალექსანდრე გიორგის ძე
**მაღალაშვილი**

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2-დე და საღამოთი 4—5-დე. მიიღებს აგრეთვე ს-ა ექიმო ქიმიურ-მიკროსკოპიულ და ბაქტეროლოგიურ გამოკვლევათ. ოქრომჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი. (წ.)

ექიმი
## ვახტანგ ღამბაშიძე

სწამლობს შინაგანსა და საბავშვო სნეულებას. ავადმყოფებს იღებს დილის 9 საათიდგან 10-მდე და საღამოს 5-დგან 7-მდე. რეუტის ქუჩა, № 24. ტელეფონი № 642. (წ.)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**მიხეილ გედევანიშვილისა**

ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).
კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
**ტელეფონი № 274.**
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილით:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე.
**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 ს., გარდა ხუთშაბათისა და შაბათისა.
**ე. გ. ფედოროვი**—შინაგან და ბავშვებისა 9—10 საათამდე.
**გ. გ. მაღალაშვილი**—შინაგან: სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 ს.
**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 ს.
**ი. პ. აზალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი 10—12 საათ.
**ვ. დ. ღამბაშიძე**—შინაგან ავადმყოფობათა 10—11 საათ., სამშაბათობით და ხუთშაბათობით 1—2 საათ.
**კ. მ. ელიოზიშვილი**—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.
**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი, 12—1 საათ.
**ა. გ. ბარსუკოვი**—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.
**სტ. ა. ვოინო**—ხირურგია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით 1—2 საათ.
**გ. მ. ამბარდანოვი**—სიფილისისა, კანის და საშარდესი, 1—2 ს.

**საღამოთი:**

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.
**ა. გ. მაღალაშვილი**—შინაგან და ბავშვებისა, 5—6 საათ. მიკრო-ქიმიური და საბაქტეროლოგო გამოკვლევანი.
**გ. ს. დავიდოვი**—ბავშვებისა და შინაგან სნეულებათა, 7—8 საათ.

**კვირაობით:**

**გ. გ. მაღალაშვილი**—10—12 საათ., შინაგან ავდმყოფობათა. (წ.)

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.
**ყ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასიანცი.** დილის 11—12 საათ. ყელისა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.
**ს. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.
**კ. ი. ბძელიშვილი.** 12—1 საათ. ყურისა, თვალისა, ცხვირის ავადმყოფობისა.
**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

**საღამოობით:**

**ნ. ნ. როსტომბეკოვი,** 5—6 ს. საქირურგო და კანისა.
**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6 7 ს. ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგან და ვენერიულ ავადმყოფობათა.
**გ. ა. თარხანოვი.** 7½—8 საათ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნ ა ვ ა ს ა რ დ ი ა ნ ი.

Первая частная лечебница д-ра Навасаріанца. Тифлисъ, противъ памят. Ворон- (წლ.)

## ახალი ამბავი

✦ კვირას, მარტის 17, „დიდების ტაძარში“ დაიწყება სამხატვრო გამოფენა პარიჟიდგან ახლად დაბრუნებულის მხატვრის ბ-ნის ბაშინჯაღიანისა.

✦ ბ-ნს ბორის ესაძეს განუზრახავს მომავალის წლიდგან თვისისავე რედაქციითა და ხარჯით ყოველ-წლიურად გამოსცეს რუსულს ენაზე კრებული სახელწოდებით „Весь Кавказъ“ („მთელი კავკასია“). კრებულში იქმნება შემდეგი განყოფილებანი: I ისტორიული, II საკალენდარო ცნობები, III მთავრობის დაწესებულებანი, IV საზოგადოობრივი ცხოვრება, V სასოფლო მეურნეობა, ვაჭრობა, მრეწველობა და სხვ., VI სხვა-და-სხვა წერილები კავკასიის შესახებ: მადნები, გეოლოგია, ჰიგიენა და მედიცინა კავკასიაში, ახალშენები, მოსარწყავი არხები, გეოდეზია და სხვ., VII სხვა-და-სხვა ცნობანი: გზები, ფოსტა-ტელეგრაფი, ბანკები, დამოჟნა თეატრი, მუსიკა და სხვ., VIII მოგზაურობანი კავკასიაში, IX ლიტერატურა: ქართული, სომხური, თათრული და სხვ., X სტატისტიკური ცნობები და XI განცხადებანი.

გამომცემელს თანამშრომლებად უკვე მიუწვევია შესაფერის მომზადებისა და ცოდნის კაცნი, სხვათა შორის, პროფესორნი ა. ცაგარელი (ქართული ისტორია) და ა. ხახანაშვილი (ქართული ლიტერატურა). კრებული დაახლოვებით 20 ბეჭდვითი თაბახი იქნება და ეღირება არა უძვირეს 5 მანეთისა.

✦ გუშინ-წინ, 14 მარტს, ქალაქის სასკოლო კომისიამ ქალაქის სკოლების სამეურნეო ნაწილის გამგეთ ამოირჩია კენჭის ყრით ნაფიც ვექილის თანაშემწე ტერმინასოვი. ამ თანამდებობის მსურველი 11 კაცი იყო. ჯამაგირი ექნება ტერმინასოვს 60 მან.

✦ ამ დღეებში ქალაქის სასკოლო კომისიის წევრს ლისიციანს მოლაპარაკება ჰქონია ქალაქის სკოლების გამგეებთან შესახებ გოგოლის სახსოვრად მოსწავლეთათვის საჩუქრების დარიგებისა. ლისიციანი იმ აზრისა იყო, რომ დაბალ განყოფილებებში სურათის მაგიერ გოგოლის თხზულებანი დაერიგებინათ. ეს მოლაპარაკება ლისიციანმა მოახსენა სასკოლო კომისიას, მაგრამ კომისიამ მარტის 14 სხდომაზე არ შეიწყნარა, რადგან საბჭოს მიერ უკვე გადაწყვეტილია და ნება არა გვაქვს მეორედ აღვძრათ საკითხი ამ საქმეზედაო.

✦ ქალაქის სკოლების მოსწავლეთა გასართობად გადადებულ ფულიდგან ყოველ წელიწადს იწერდნენ თითო ჯადო ფანარს. ლისიციანმა ურჩია კრებას, რომ რადგან ასეთი ფარნები ეხლა იაფია, ორი ფანარი გამოვიწეროთო. კომისია იმავ სხდომაზე დაეთანხმა ლისიციანს და დაადგინა ორი ჯადო ფანარი გამოვიწეროთო. კომისიის თავმჯდომარემ ი. ს. ალიხანოვმა მოახსენა კომისიას, რომ ამ მოკლე ხანში იქნება ჟუკოვსკის მიცვალების 50 წლის თავის ხსენება და ეხლავე შევუდგეთ პროგრამის შემუშავებასაო. კომისიამ დაავალა ლისიციანს და მელიქ-ბეგლიაროვს შეიმუშავონ ჯეროვანი პროგრამმა.

✦ გუშინ-წინ, 14 მარტს, ქალაქის გამგეობის შეერთებულ კომისიამ შემდეგი დაადგინა ქალაქის საყასბოს გახსნის შესახებ: 1) დამტკიცდეს ხარჯთ-აღრიცხვა საყასბო დუქნის მოწყობისა (2,200 მანეთი) და ჩაჰბარდეს სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორს სტეფანოვს დამხმარებლებათ სამეურნო პოლიციის ზედამხედველები ბ.ბ. ბაბოვი და ფურცელაძე. 2) დამტკიცდეს საექსპლოატაციო ხარჯთ-აღრიცხვა, რომლისთვის არის გადადებული 700 მ. და ეხლავე ამ საქმეზედ დაიხარჯოს 300 მანეთამდე. 3) საყასბო დუქნები იქირავონ ეხლავე ან იარმუკაში, ან თამამშევის ქარვასლაში, სადაც მოთავსებულია „შრომის ბიურო“. 4) დაევალოს გამგეობის წევრს ენფინჯიანცს შეადგინოს გეგმა საქონლის ბაკისა, რომელშიაც უნდა მოთავსდეს 100 სული საქონელი. (ამ ბაკისათვის გადადებულია 4,000 მანეთი). 5) ეხლავე შეიძინონ 100 სული საქონელი და დღეში დაიკლას 10 სული.

✦ სასოფლო-სამეურნეო ბიუროების საკომისიონერო კანტორებს დიდი მნიშვნელობა აქვთ სასოფლო მეურნეობის ნაწარმოებთა გავრცელებასა და გაუმჯობესებაში; ამიტომაც მიწათ-მოქმედების სამინისტროს გადაუცია სასოფლო მეურნეობის საბჭოს განსახილველად პროექტი წესდებისა, რომლითაც უნდა ხელმძღვანელობდნენ საკომისიონერო კანტორის გამგეები, რომ უფრო ადვილად და წარმატებით შეასრულონ თავიანთი მოვალეობა. ამ წესდების პროექტი ხსენებულმა სამინისტრომ გამოუგზავნა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას და სთხოვს თავისი აზრი გამოსთქვას მის შესახებ.

✦ ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსმა დაათვალიერა სიფხიზლის საზოგადოების რკინის გზის განყოფილება და მიაქცია ყურადღება სცენის, საპირფარეშოების და თვით მაყურებელთა დარბაზის სივიწროვეს და საჭიროდ სცნო ან გადიდდეს დარბაზი, ან თუ არა და სხვა ახალ ადგილზე გადატანილ იქმნას თვით თეატრი.

✦ როგორც გავიგეთ, ამ მოკლე ხანში გამოვა დასურათებული ზღაპარი „სიმონა“ გიორგი წერეთლისა. სურათებს ამზადებს ჩვენი ახალგაზდა მხატვარი ა. მრევლიშვილი.

✦ ს. ოძისი (დუშეთის მაზრა): ამ დღეებში აქ ერთის ქალის თავხედი მოტაცება მოხდა. აქაური მცხოვრები ნიკო გელაშვილი თავისის დით მიდიოდა მახლობელ სოფელ იტრიაში. როდესაც ისინი მივიდნენ ეგრედ წოდებულ „ბოლაურის“ ტყესთან, ტყიდამ უცბად გამოვარდა ოთხი შეიარაღებული კაცი: ზაქარა კაპანაძე, ძმები კიკნაძეები და ნადირაძე. ორი მათგანი ეცა გელაშვილს, ხელი დაუჭირა, წაართვა რევოლვერი და გაუტეხა ხანჯალი, ხოლო ორმა—კაპანაძემ (რომელსაც მისის დის შერთვა ნდომებოდა) და ნადირაძემ გააქანეს ქალი! ეს მოხდა დილის 9 საათზე. გელაშვილმა მიჰმართა ბოქაულებს, რომლებმაც ყველა მომტაცებელნი სოფელ ისიაურში იპოვეს მეორე დღეს. გამოძიება სწარმოებს.

✦ წარსულ გამოფენის „ხალხის გასართობ განყოფილებისაგან“ ტფილისის მცხოვრებ ისააკ დანდუროვს იჯარით აუღია საქმეები, საიდგანაც განყოფილებას 1000 მანეთი დასდებია დანდუროვისა. დანდუროვს ამაზე უჩივლია ქალაქის მომრიგებელ სასამართლოში „კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებისათვის“ და დაუსწრებელის განჩინებით მოუგია კიდეც. სამეურნეო საზოგადოებამ აქამდის არაფერი არ იცოდა ამაზე. „ხალხის გამართობელი განყოფილება“ მთლად კერძო პირების ხელში ყოფილა და არა სამეურნეო საზოგადოებისა და ამიტომ სამეურნეო საზოგადოებას გადაუწყვეტია განსასჩივროს ეს საქმე. „ხალხის გასართობი“ განყოფილება ყოფილა ი. ა. თაიროვისა, მარკოზოვისა, ენფიჯიანცისა, ანდრონიკოვისა და სხვებისა, სულ 30 კაცის ხელში.

### იმერეთის ამბები:

✦ ქუთაისში „წყლის მილის გამყვან“ საზოგადოებას ერთხმად გადაუწყვეტია შეიძინოს კონცესსია ქუთაისშივე ტრამვაის გაყვანისა.

✦ იმერეთის თავად-აზნაურობას მთავრობამ, კანონის თანახმად, დაავალა მონაწილეობა მიიღოს სოფლად გზების გაყვანის საქმეში. როგორც მკითხველებმა იციან, ესეთი ხარჯი დღემდის მარტო გლეხებს აწვათ კისრად.

✦ მარტის 27, „Новое Обозр.“ სიტყვით, ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თ-დის ს. ნ. ლორთქიფანიძის თავმჯდომარეობით დანიშნულია დეპუტატთა საკრებულოში მაზრების თავად-აზნაურთა წინამძღოლების სხდომა.

ამ სხდომაზე უნდა გააწერონ იმერეთის თავად-აზნაურობას დეპუტატთა საკრებულოს შესანახავად საჭირო ფული.

✦ ს. ქოლობანი: რამდენისამე თვის წინად აქაურ თავად-აზნაურობამ და გლეხობამ ერთად ითხოვეს „გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობის“ წესდების დამტკიცება. წესდება მალე დაამტკიცეს და გამოგვიგზავნეს. იგი მიიღეს სოფლის სამმართველოში, მიიწვიეს მხოლოდ გლეხობა მარტის 18-ს დანიშნულს კრებაზე, რომელზედაც, ჩვენდა განსაცვიფრებლად, გადასწყვიტეს: „თავად-აზნაურნი არ იქმნან მიღებულნი ამხანაგებად, რადგან ქონებრივი მათი მდგომარეობა არ არის საიმედოთ ცნობილი და ვიდრე არ გავიგებთ იმათს ქონებრივს შეძლებას, მათი ამხანაგებად მიღება შეუძლებელია!!..“

ასკანა (ოზურგ. მაზრა): ამ ცოტა ხანში აქ ორჯელ იყო კრება შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის წევრთა. პირველს კრებაზედ, 15 თებერვალს, განსახილველად დანიშნული იყო ექვსი საგანი, მაგრამ ამ ექვსში ერთმა გასულის წლის ანგარიშის დამტკიცებამ—დიდი კამათი გამოიწვია. საბჭო და გამგეობა ვერ შეთანხმებულიყვნენ, ამიტომ საქმის გამოსარკვევად აირჩიეს კომისია ხუთის კაცისაგან. კრება გადაიდვა სამ მარტისათვის. სამს მარტს ამ პირებმა წარმოადგინეს თავისი განაჩენი. მათ რამდენიმე სიყალბე აღმოეჩინათ გამგეობისა და საბჭოს მოქმედებაში. კომისიის ანგარიში კრებამ მიიღო. ამის შემდეგ აირჩიეს გამგეობის ორი ახალი წევრი. ძველი ორი გაუშვეს. აირჩიეს აგრეთვე ცხრა პირი საბჭოს წევრებად და ერთი მუდმივი მზრუნველი. დასასრულ აირჩიეს სამი პირი სარევიზიო კომისიაში.

### შეცდომის გასწორება:

ფელეტონში „ბ-ნ არჩილ ჯორჯაძის ციფირები და ოინები“ № 56, 1 გვერდ., 4 სვეტში, ქვემოდგან მე-10 სტრიქონში შეცდომით არის დაბეჭდილი: …„გაღარიბება“, უნდა იყოს: …«გაღონიერება»;

მე-3 გვერდ., მე-3 სვეტში, ქვემოდგან 16—17 სტრ. არის: „Надѣльная повинность“, უნდა იყოს: „подымная подать“;

მე-3 გვერდ., მე-5 სვეტში, ქვემოდგან მე-13 სტრიქონში არის: „3 მან. 58 კ.,“ უნდა იყოს: „3 მან. 48 კ.“

### წერილი ჟენევიდგან

აქეთ გამომგზავრებამდის ხშირად მქონია საუბარი ამხანაგ ქალებთან, რომლებსაც გადაწყვეტილი ჰქონდათ სწავლის განგრძობა უმაღლეს სასწავლებელში, იმის შესახებ, რომ რადგან რუსეთში ქალებს უძნელებენ მიღებას, გადაეწყვიტათ საზღვარ-გარეთ სწავლა-განათლების დაწაფება. მასთან, არა ერთხელ განმიმარტავს მათთვის, თუ რა დიდი გავლენა ექნებოდა მათ ზნეობრივ და გონებრივ განვითარებაზე საზღვარ-გარეთ ცხოვრების დაკვირვებას, ხალხის ზნე-ჩვეულების გაცნობას და სხ.

ამ რჩევაზე ერთმა მათგანმა მიპასუხა: „სიამოვნებით გადავწყვეტდი საზღვარ-გარეთ წასვლას, იქ სწავლა-განათლების მიღებას, ევროპის ცხოვრების დაკვირვებას, ენების შესწავლას, ხალხის ზნე-ჩვეულების გაცნობას, მაგრამ ჩემს სურვილს წინ ეღობება ჩემი ნივთიერი ხელ-მოკლეობა, რომელიც მეტად მაშინებს. არა ერთი მაგალითი იყო, რომ მოსწავლე ახალგაზდა, გატაცებული სწავლის სურვილით, ივიწყებდა დროებით თავის შეუძლებლობას და მიისწრაფოდა უმაღლეს სასწავლებელში, მაგრამ მალე მის სურვილს ფრთები ეკვეცებოდა და ან ულმობელ ჭლექის მსხვერპლი ხდებოდა, ან ნაღვლიანი უკანვე ბრუნდებოდა სამშობლოში. ვფიქრობ, რომ მეც ასე დამემართება, თუ საზღვარ-გარეთ გადავწყვიტე წამოსვლა, რადგან, რაც უნდა იყოს, ცხოვრება იქ მეტი დამიჯდება, ვიდრე რუსეთში; და მერე, იქ რომ გამიჭირდეს, ხელის მონაცვლება არ მოხერხდება,, ხოლო რუსეთში ჩვენები არიან; იმათი იმედი მუდამ მექნება და გაჭირვების დროს ხელს გავიმართავ მათგან. ვინიცობაა, სწავლის განგრძობა ველარ მოვახერხე და უკან დაბრუნება მომიხდა, ესეც რუსეთიდამ უფრო ადვილია, ვიდრე საზღვარ-გარეთიდამ, სადაც, ვინ იცის, გზის ფული მექნება თუ არა!“

სხვებმა მითხრეს, რომ ერთი წელიწადი გვინდა მასწავლებლად დავრჩეთ, ხოლო ამ დროს შენ ჩახვალ, გაიცნობ იქაურ ცხოვრებას, შემდეგ გვაცნობებ და მაშინ გადავწყვეტთ მაგ საგანსაო.

ამიტომ სიამოვნებით ვიღებ კალამს, რომ აქაურ მოსწავლე ახალგაზდობის ცხოვრების ვითარება გავაცნო, როგორც ჩემს ამხანაგ ქალებს, აგრეთვე სხვებსაც გაზეთ „ივერიის“ საშუალებით.

ჟენევაში არსებობს პანსიონები, სადაც თვიური ხარჯი ყველაფრით 35 მან. დაწყებული 45 მანეთამდის ადის. იქ ყოველივე თავ-თავის დროზე მზად და შეუწუხებლად მოსდის მოსწავლეს; მაგრამ რადგან პანსიონები თავისის სიძვირის გამო მხოლოდ ბედნიერთა ხვედრია, მე მაზე არ გავაგრძელებ ლაპარაკს. უმეტესი ნაწილი მოსწავლე ახალგაზდობისა ჩამოსვლისათანავე ქირაობს ცალკე ოთახს და ბინავდება. უნდა შევნიშნოთ, რომ ოთახები ჟენევაში, საზოგადოდ, კარგად არის მოწყობილი: სუფთა, ნათელი, აივნებიანი; შიგ ყოველივე საჭირო ავეჯეულობაა, ქვეშსაგები, მისი სუფთა საცვალი, პირსახოცი, რომელსაც ყოველ კვირა სცვლიან, კედლებზე სხვა-და-სხვა სურათები და სხ. ყოველ დილას სახლის დიასახლისი, ან მისი მოსამსახურე ასუფთავებს ოთახს, ალაგებს ლოგინს, აწყობს ლამპარს, ამზადებს პირისაბან წყალს და სხ.

ყოველივე ეს თვეში ღირს 5—7 მანეთამდის, ე. ი. თუ ოთახი მორჩილია, ხუთ მანეთად იშოვის ადამიანი, ხოლო თუ სრული, აივნიანი ოთახია, მისი ფასი 7 მანეთია. რასაკვირველია, არის 10—12 მანეთიანი ოთახებიც, მაგრამ მე მათზე არ ვლაპარაკობ, რადგან მათი ხავერდ-აბრეშუმეულობით მოწყობილება არაფრის მაქნისია მოსწავლისათვის, რომელსაც სწავლა სწყურია და არა ხავერდაბრეშუმში ცხოვრება!

რადგან ახალმა ჩამოსულებმა ფრანგული ან სულ არ იციან, ან-და ძალიან სუსტად, იღებენ ფრანგულ გაკვეთილებს აქაურ მასწავლებელ ქალებისაგან, რომლებიც სიამოვნებით იძლევიან საათში გაკვეთილს 20—25 კაპ., ხოლო საუკეთესო მასწავლებელი ქალები 30—35 კ. სასადილოების მეტი წილი რუსის სასადილოებია, რომელიც დაარსებულია ამხანაგობისაგან. იქ საჭმელებს ამზადებენ სუფთად, წმინდათ, ერბოთი. სადილი ღირს 20—30 კაპ.

გარდა რუსის სასადილოებისა არსებობს მრავალი სხვა დაწესებულებაც, სადაც ამავე ფასად შეიძლება ისადილოთ. არსებობს აგრეთვე ქალთა სასადილო, ესრედ წოდებული „Foyer de femmes“, რომელშიაც მარტო ქალებს შეუძლიანთ ისადილონ.

დილა-საღამოს მოსწავლე კმაყოფილდება რძიანის ჩაით, ერბოთი და პურით, რომელიც აგრეთვე ძალიან იაფად ჯდება. გირვანქა შაქარი მაგ. 5—6 კაპ. ღირს ჟენევაში და რძეც იაფია. სამოვრების მაგივრად, რომელსაც იშვიათად შეხვდებით ჟენევაში, მოსწავლეები ხმარობენ პატარა სპირტის ლამპრებს, რომელზედაც უცებ ადუღებენ ჩაისთვის წყალს, ან რძეს.

როგორც მკითხველი ჰხედავს, ჟენევაში ცხოვრება ძვირი არ არის; არა თუ ძვირი, შედარებით რუსეთის ცხოვრებასთან, სადაც ამ ფასად მარტო ოთახს თუ იშოვი, ძალიან იაფიც არის. მაშ, რად აზვიადებენ ასე ზო-

გიურთები აქაურ სიძვირეს?! ხშირად გაიგონებ აქ მოსწავლესაგან, რომ თვეში ოცი მანეთი მომდის, მაგრამ ისე თავდარიგიანად სცხოვრებს, რომ ყველაფრისათვის ჰყოფნის.

ახლა ვიკითხოთ, თვით ჟენეველები როგორ ექცევიან მოსწავლე ახალგაზდობას? მეტი წილი აქაურ დიასახლისებისა მეტად პატიოსანი ხალხია და ზრდილობიანადაც ექცევიან მოსწავლეებს, თუ რასაკვირველია, მოსწავლეებმა საზღვარს არ გადააცილეს. არიან ისეთი დიასახლისებიც, რომ თუ შეატყვეს, მოსწავლე ღარიბიაო, ან თუ მოსწავლეს თავისს დროზე ფული არ მოსდის, არა თუ აწუხებენ სახლის ქირისათვის, პირ-იქით, დახმარებასაც უჩენენ თავის საკუთარის ფულით. მაგ. ერთ მოსწავლე ქალს სხვა-და-სხვა მიზეზის გამო მთელი სამი თვე კაპეიკი არ მიუღია სახლიდამ. როცა დიასახლისმა შეიტყო მისი გარემოება, სთხოვა მოსწავლეს, რომ ჩემგან წაიღე ფული და ხელი გაიმართეო, აგრეთვე თავის ფულით ჰყიდულობდა მისთვის შეშას, რძეს და სხვ. რასაკვირველია, ბოლოს ყოველსავე მოგთხოვენ, რადგან ჟენეველს არ უყვარს ტყუილად ფულის ფანტვა, მაგრამ ესეთი დახმარებაც მათგან დიდი საქმეა მაშინ, როცა სამშობლოში არა ერთი მაგალითი იყო, რომ როგორც თვის ფული დაიგვიანებდა, ჩვენი დიასახლისები სულს გვიწუხებდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ჩვენები იყვნენ და უფრო უნდა თანაეგრძნოთ ჩვენთვის!

ავიღოთ ახლა ვაჭარი ხალხი. მაგალითად, რამე გაკლია და ფული არა გაქვს. ამ შემთხვევაში საკმარისია რომელსამე მაღაზიაში მიხვიდე, სტუდენტის ქარტა უჩვენო და წამოიღო, რაც გინდა, ნისიად. როცა ფული გექნება, უნდა გაისტუმრო მოვალე, რასაკვირველია. წვრიმალი, როგორც პური, რძე და სხვ. ხომ ერთი-ორის თვით შეგიძლიან ნისიათ ჰხარჯო.—გაკვირვებს კაცს აქაური ხალხის ნდობა, თუმცა არა ერთხელ ეკარგებათ ნისიები. ერთხელ უნივერსიტეტიდგან სახლში მოვდიოდი. სიცივე იყო და ხელებზე შემციოდა. ამ დროს სწორედ იმ მოედანზედ გამოვიარე, სადაც პარასკევ-სამშაბათობით იარმუკობა იმართება. თბილ ხელთათმანს თვალი მოვკარი და პატრონს ვკითხე, რა ღირს მეთქი. ერთი ფრანკიო *)—მიპასუხა. ჩავიყავი ჯიბეში ხელი ფულის ამოსაღებად, მაგრამ ფრანკის მაგივრად თან რამდენიმე სანტიმი მქონდა. როცა ვაჭარმა დაინახა, რომ ფრანკი არ მქონდა, მითხრა: ინებეთ და შემდეგ, როცა ამ გზით გამოივლით, მაშინ მომეცითო. მეტად გამაკვირვა ასეთმა ქცევამ, რადგან ვაჭარი პირველად მხედავდა მოედანზე და ისიც არ იცოდა, მოსწავლე ვიყავი თუ არა. მადლობა გადავუხადე და წამოვიღე ხელთათმნები...

აი, ასე ექცევიან ჟენეველები მოსწავლეებს.

მე მგონია, რომ ჩვენი ქალები და მათნი მშობელნი, რომელნიც ისე აზვიადებდნენ საზღვარ-გარეთ ცხოვრებას, ამ ცნობებიდგან ნათლად დაინახვენ, თუ რა ბუნდოვანი წარმოდგენა და შემცდარი აზრი აქვთ აქაურ ცხოვრებაზე.

დასასრულ დაგვრჩენია ვუსურვოთ ჩვენს ქალებს, რომ ისინი მეტის გაბედულობით, ენერგიით, ზნეობრივად და გონებრივად ამაღლების სურვილით გამსჭვალულნი შესდგომოდნენ სწავლა-განათლების გზას, რადგან ეს ერთად-ერთი და მხოლობითი სალსარია მათისა და მათ მშობელ ქვეყნის ბედნიერებისა. მხოლოდ საფუძვლიანი გონებრივი და ზნეობრივი განვითარება გამოიყვანს ჩვენს ქალებს იმ არა სასურველ მდგომარეობიდამ, რომელშიაც ქალების მეტი ნაწილი იმყოფება დღემდის; ვუსურვოთ, რომ ადრე და მალე შეეგნოთ ჩვენს ყმაწვილს ქალებს თავისი ინტერესები და ეს ინტერესები შეეერთებინოთ კაცობრიობის ინტერესებთან, მხარში ამოსდგომოდნენ მამაკაცებს საერთო მუშაკობისა და მოღვაწეობის ასპარეზზედ და მათ სათამაშო-გასართობ საგნად აღარ დარჩენილიყვნენ!

ლორეშელი ქალი.

*) ფრანკი 37 1/2 კაპიკია.

## წერილი რაჭიდგან

ცრუ-მორწმუნეობა საშინელი სენია ადამიანის სულიერის აგებულებისა. იგი დამაბნელებელია ადამიანის ჭკუა-გონებისა. ცრუ-მორწმუნეობა დედაა ათას გვარის ბოროტებისა და დამაქვეითებელი და გამღარიბებელი ხალხისა ზნეობრივად და ნივთიერად. ამისათვის ცრუ-მორწმუნეობა შეჩვენებული და აღკრძალულია მართლ-მადიდებელის ეკკლესიის მიერ; ცრუ-მორწმუნეობასვე უარ-ჰყოფს, ებრძვის და სდევნის, როგორც სასულიერო, ისე საერო პრესსა და ყველა კეთილ-გონიერი და შეგნებული ადამიანი.

მაგრამ ვერც ეკკლესიას და ვერც პრესას ჯერ კიდევ ვერ გაუმარჯვნია ცრუმორწმუნეობაზე და ვერ აღმოუფხვრია. დღესაც ცრუმორწმუნეობას უფრო ბევრი მიმდევარი და თაყვანის მცემელი ჰყავს, ვიდრე მართლ-მორწმუნეობას.

მაგალითად, ავიღოთ ერთგვარი ცრუმორწმუნეობა, ეგრედ წოდებული მარჩიელობა, ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, გულთმისნობა. ამ ცრუ-წინასწარმეტყველებას იმდენი თაყვანისმცემელი და მუშტარი ჰყავს ჩვენს დაბა-სოფლებში ყოველს ორშაბათს და ხუთშაბათს, მეტადრე მაშინ, თუ ეს დღეები ახალს მთვარეზე შეხვდნენ, რომ არა გვგონია, რომელსამე ნამდვილ მეცნიერ ესკულაპს მთელის წლის განმავლობაში ეახლონ იმდენი რჩევა-დარიგებისა და წამლის მთხოვნელნი... მარჩიელ-გულთმისნები, როგორც მოგეხსენებათ, ადამიანის მყობადსა და მომავალს, ბედნიერებასა და უბედურებას, სიცოცხლესა და სიკვდილს, ვითომ გაითვალისწინებენ, გაიგებენ, ბანქოს გაშლით, ლობიოს მარცვლების დალაგებით, ანუ ღრმა ჯამში ჩაყენებულ წყალში ჩახედვით!!

ვინ მოსთვლის, თუ რამდენი ავადმყოფი გამოუსალმებია წუთი-სოფლისათვის ამ მაცდურ წინასწარმეტყველების რჩევა-დარიგებას და წამლობას, რამდენი კეთილი მეზობელი და სახლი-კაცი გადაუმტერებია ერთმანეთისათვის. მაგრამ ჩვენმა მდაბიო ხალხმა მაინც ვერ შეიგნო მარჩიელების გაიძვერობა... უმეცარ ხალხზე რაღა უნდა ვსთქვათ, როდესაც მარჩიელ-მისნების სახლში ვხედავთ გონება-გახსნილ, ნასწავლ ადამიანად მიმჩნეულებსაც! ამას წინად ერთის სოფლის ინტელიგენტი, სოფლის სკოლის მასწავლებელი, მისულა მარჩიელთან, მოწიწებით თაყვანი უცია მისის ყოვლისფრის გამმცნობ სწავლა-მეცნიერებისათვის, მიურთმევია შესაწირავი—ათი შაური—და ურჩევნებია თავის მომავალ ბედ-იღბლის შესახებ!!.

როგორ დააკმაყოფილა მარჩიელმა ინტელიგენტის ცნობის მოყვარეობა, ამაზედ ვერას მოგახსენებთ, ხოლო ის-კი ჭეშმარიტებად მიგვაჩნია, რომ ესეთი სწავლა განათლების პატრონი მასწავლებლები ჩვენს მდაბიო ხალხში განათლების შუქს ვერ მოჰფენენ და მათ ჯამაგირად გარდახდილი ფული სოფლებისათვის უნაყოფო ხარჯად უნდა ჩაითვალოს...

ჩვენის ეპარქიის ახალ მწყემს-მთავრის, ყოვლად-სამღვდელო ლეონიდის განკარგულებით ჩვენს სოფლებში საკმაოდ იცვალა ფერი ძველებურის წესით მიცვალებულის ტირილ-გამოტირილმა. წინანდებულად ბევრს მოტირლებს აღარ იწვევენ, მეტადრე მდაბიო ხალხი, მოზარეებს აღარავინ ჰპატიჟობს ტირილში. ამ ხრივ ხარჯი დაზარალებულ ჭირისუფალთა, რომლის მოსპობა სასარგებლო და, მაშასადამე, საზრუნველი იყო, საკმაოდ მცირდება. მაგრამ ისიც უნდა ვსთქვათ, რომ გადაჭარბება, ზომაზე გადასვლა არაფერში არ ვარგა. ძველიდამ, რასაკვირველია, ის უნდა მოვსპოთ, რაც უაზრო და საზარალოა, ხოლო რაც ჭკუაში მოსასვლელია, ის-კი პატივის ცემით უნდა დავიცვათ.

სამწუხაროდ, ყოვლად-სამღვდელო ლეონიდის გონივრული და ხალხისათვის დიდად სასარგებლო, როგორც გონებრივის, ისე ნივთიერის მხრივ, აზრი და განკარგულება, ზოგიერთმა სოფლელმა მწყემსმა ჯეროვანად ვერ შეიგნო, მიცვალებულის გვამს ყოველგვარი პატივის-ცემა აჰხადა, დღეს დილით რომ გარდაიცვალოს ადამიანი, ხვალ შუადღეზედ ჰმარხავენ; და ასე მალე დამარხვა ადამიანისა, რომელიც საშიშ გადამდებ სენით არ იყო შეპყრობილი, დიდი საცოდაობაა და მასთან საფრთხილოა. იქნება გაცივებულიც არ არის საცოდავის ადამიანის სხეული. ცხედარი მიცვალებულისა ხომ მოკლებულია სამღვდელოების მიერ დამშვენებას, იგი მათ მიერ დაობლებულია. მართალია, მოტირალისადმი მივებება, სტაძრო შესამოსელი შემოსილის სამღვდელოებისა და გუნდრუკის კმევა ყოვლად უკანონო და შეუწყნარებელი იყო, მაგრამ თვით მიცვალებულთან დგომა შემოსილის სამღვდელოებისა არ უნდა ჩაითვალოს უაზრო ჩვეულებად... რადგანაც ეს სანახაობა დიდად ანუგეშებს და ამხნევებს სულიერად, როგორც გარდაცვალებულის ჭირისუფლებს, ისე ყველა ქრისტიანს ადამიანს.

ეს გარემოება აღონებს ხალხს... იმედი გვაქვს, მისი მეუფება ეპისკოპოსი განუმარტავს სოფლელ მწყემსთ თავისს განკარგულებას და მისს ნამდვილს აზრს.

ქაიხოსრო გელოვანი.

## დაბა და სოფელი

**სოფ. ლანირი** (ქუთაისის მაზრა). ამ სოფელში სულ ოთხასი კომლია ყველა წოდებისა. ცოტანი არიან აზნაურნი და სასულიერო წოდებისანი, თავადი-კი ერთი კომლია. უმაღლეს სწავლა განათლება მიღებულნი ორნი არიან, რამდენიმეს-კი დამთავრებული აქვს კურსი საშუალო სასწავლებელში. ყველა ნასწავლნი სხვა-და-სხვა სამსახურში არიან. ამ ჟამად ჩვენს სკოლაში სწავლობს 70 მოსწავლე. რაც სკოლა გაიმართა, დიდი ხანი არ არის, მაგრამ აქაურ მცხოვრებთ ისე გაუტკბათ სიყვარული სკოლისა და წყურვილი სწავლისა, რომ ყველანი მეცადინეობენ, შვილები არ დაჰრჩნენ უსწავლელნი, გაუნათლებელნი. ერთ-კლასიანს სკოლას აღარ სჯერდებიან და ახლა ორ-კლასიან სკოლათ უნდათ გადააკეთონ. აქვს ამ სკოლას ერთი ქცევა მიწა საბაღე ადგილი, სადაც მოსწავლენი, სხვათა შორის, სწავლობენ მიწის მუშაობას და ამერიკის ვაზებზედ ჩვენებურის ვაზის დამყნას, რასაკვირველია, მასწავლებლის თაოსნობით.

ქურდობა, მეტადრე საქონლისა, ცოტა არ იყოს, ხშირია ჩვენში.

გზები უკანასკნელ მდგომარეობაში. წვიმები რომ დაიწყება, მისვლა-მოსვლა ყოვლად შეუძლებელია. მოსწავლენი სკოლაში ძლივსლა მოდიან და ისიც ურმით. უბან-უბან მოუყრიან თავს რამდენსამე მოსწავლეს და ერთად ურმით მოიყვანებენ. აი, ამ გვარ გაფუჭებულ გზებს მამასახლისი სრულებით ყურადღებას არ აქცევს. ამ ხანად აქ აირჩიეს გზების ზედამხედველად გლეხი გ. ოდილავაძე, რომელიც მხნედ შეუდგა გზების კეთებას და გაფართოვებას. ამისთანა კაცს მამასახლისიც რომ აღმოუჩენდეს შემწეობას, ამ გვარს უგზობას და წუმპეებს მალე ავშორდებოდით.

წარსულ წელს აქ დაარსებულ იქმნა პირველ მეაბრეშუმეთა ამხანაგობის მმართველის ბ-ნ ნესტორ წერეთლის მიერ გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობა, რომელსაც დღეს-დღეობით 150 წევრი ჰყავს და წლიური ტრიალი ფულისა ადის 9000 მანეთამდე. რასაკვირველია, რომ შეძლებულებს საწყენად დარჩათ ამ გვარ ამხანაგობის დაარსება, რადგან თუმანს აბაზიდან დაწყებული, ვიდრე ათ შაურამდე ასესხებდნენ თვეში.

წელს იჩინა აქ თავი ინფლუენციამ და დიდი ზარალიც მოგვიტანა: რამდენიმე კაცი და ქალი იმსხვერპლა, მეტადრე მოხუცებულნი და ნორჩნი.

პირველ მარტიდან იწყო თოვა და განუწყვეტლივ თოვდა კარგა ხანს. ნაყოფი ხეხილს გამოსული ჰქონდა, ამიტომ თოვლმა და ყინვამ ძალიან გააფუჭა.

ილ. ქუთათელაძე.

## ნარკვევი.

სამკურნალო ჟურნალ „სპუტნ. ზდორ.“-ში დაბეჭდილია საყურადღებო წერილი ,,შრომის ბირჟის'' შესახებ. ევროპაში ახლა ყველგან, პატარა ქალაქებშიაც-კი, არის გამართული ასეთი ბირჟები. შრომის ბირჟა განსაკუთრებით საჭიროა ისეთს ქალაქში, როგორიც არის პეტერბურგი:

ვინ დასთვლის, რამდენი მუშა ხდება ავად ფილტვების ანთებით და გაცივებით პეტერბურგში შემოდგომაზე და ზამთარში!

სულ სხვა იქნებოდა, რომ ქალაქს გამართული ჰქონდეს შრომის ბირჟა, სადაც მშრომელს ხალხს, რომელიც [illegible] შეძლება ექნება თბილი თავშესაფარი ჰქონდეს და ორ გროშად მიიღოს ჩაი, სადილი; მაშინ მუშა არ წავიდოდა „მონოპოლიისაკენ“ გასათბობლად, რომელიც მალე ისტუმრებს საავადმყოფოში...

შრომის ბირჟაში შეიძლებოდა ქალაქის უფასო აბანოების გამართვა, აგრეთვე სადეზინფექციო კამერების, სასადილოებისა, საჩაიებისა და სხ. ყველა ამას ძლიერ მცირე ფული მოუნდება შედარებით იმ ხარჯთან, რომელსაც გასწევს ქალაქი ეპიდემიების დროს.

ჩვენ არას ვიტყვით იმის შესახებ, თუ რამდენ ზნეობრივს ზედგავლენას იქონიებს შრომის ბირჟა ქალებზე, რომლებიც დღეს კაცებთან ერთად იკრიბებიან მოედანზე, ცივდებიან და თანაც ირყვნებიან.

რასაკვირველია, ასეთის ბირჟის სახლების დაარსება არ იქნებოდა სულ მცირედაც სოციალურ-ეკონომიურ საგნის გადაწყვეტა, მაგრამ სახალხო ჯანმრთელობისთვის ეს იქნებოდა წინ ფეხის გადადგმა.

დროა შევიგნოთ, რომ უბედურებას უნდა ვებრძოლოთ მაშინ-კი არა, როდესაც იგი უკვე გაჩნდა; ცუდია, როდესაც ავადმყოფობას ვექიმობთ და არა ვცდილობთ, რომ იგი სრულიად არ გაჩნდეს.

ქალაქის თვითმმართველობამ უნდა შეიგნოს, რომ მუშა ხალხის ინტერესები არის მთელის ქალაქის ინტერესები. ძალიან სცდებიან ისინი, რომელნიც ფიქრობენ, რომ მუშების კეთილდღეობას და ჯანმრთელობას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ჩვენთვისაო და მაკრობი ვერ მოაღწევს ჩვენს მდიდრად მოწყობილ სახლებამდისაო!..

სწორედ განგებ თვალების დახუჭვაა ასეთის ფაქტების არ დანახვა! რაც კარგა ხანია შეიგნეს ევროპაში, დროა ჩვენც მივაქციოთ ამას ყურადღება!..

როგორც არსებობს სახალხო სახლი, სიღარიბის სამზრუნველოები, თეატრები, აგრეთვე უნდა დავაარსოთ ბირჟის სახლებიც!

## რუსეთი

შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაამტკიცა მოსკოვის სასტუმროებისა და ტრაქტირების ლაქიების საურთიერთო დახმარების საზოგადოება, რომლის დანიშნულებაა—დაეხმაროს თავის წევრთა მდგომარეობის გაუმჯობესებას და მათს ოჯახებს. ამისათვის საზოგადოება მოუძებნის წევრებს ადგილს და სამუშაოს, დაეხმარება ფულით ავადმყოფობისა და უმუშევრობის დროს, მისცემს სესხს, დაასაფლავებს გარდაცვლილს წევრებს და შემწეობას აღმოუჩენს მათს ქვრივებს და შვილებს. წევრებად მიიღებიან სასტუმროებში, რესტორანებში, მოწყობილ ოთახებში და სხ. მოსამსახურე ქალები და კაცები. საწევრო ფული 3 მანეთია.

— ხარკოვის უნივერსიტეტში ამას წინად დაარსებული საზოგადოება ეკონომიურ საგნების შესასწავლად, ფაქტიურად გაუქმდა, რადგან მოულოდნელ მიზეზებისა გამო არც ერთი მისი წევრი დღეს არ იმყოფება უნივერსიტეტში.

— ქ. პერმში წელს იმართება უფასო პო-

## ფელეტონი

**ბერი-პოეტი.**

I ,,მოძღვრებანი დაყუდებულის მღვდელ-მონოზანის ალექსისნი.'' გვ. 86, ფასი 30 კაპ.

II ,,ალექსი.'' გვ. 86, ფასი 25 კაპ. გამოცემანი თეკლათის დედათა მონასტრისა. ფოთი 1901 წ. სტამბა ლ. ტუღუშისა.

ძალიან გამიკვირდა, როცა ამას წინად ერთ ჩემ კორრესპონდენტისაგან ზემოდ დასახელებული წიგნები მივიღე, და უნდა მოგახსენოთ, არ მეგონა, თუ, არამც თუ წაკითხვას, უბრალო გადათვალიერებასაც ვაღირსებდი. მხოლოდ შემდეგ, როცა მომაგონდა, რომ ამათი ავტორი, ბავშვობისას, ჯერ ისევ როგორც მორჩილი, უნდა მენახოს, დავინტერესდი და, ცნობის მოყვარეობის დასაკმაყოფილებლად, გადავშალე პირველი წიგნი.

,,სინანულით ხსენება ადამიანობისა ჩემისა'' აქვს სათაურად პირველს მოძღვრებას და მეც შევუდექი მის კითხვას... უგულოდ, რადგან მეგონა, ვნახავდი მშრალს სხოლასტიურს მსჯელობას და მასთან საშინელის ქართული დაწერილს (ავტორი მეგრელია)! წარმოიდგინეთ ჩემი გაკვირვება, როცა ამის მაგიერ ხელში შემრჩა ჩინებულ ქართულით დაწერილი, გრძნობით აღსავსე, იერემისებური გოდება! რომ ადგილი ნებას მაძლევდეს, მთელს ამ მოძღვრებას გადმოვწერდი და, დარწმუნებული ვარ, ვასიამოვნებდი მკითხველსაც, მაგრამ ეს არ შეიძლება და მოვიყვან მხოლოდ ერთს ხანას.

„ვაი საწყალო ადამიანო, რა საძაგელი ნების პატრონი ხარ! რა უწმინდური, ბილწი და ბიწიერებით სავსეა შენი ნება! რომელი სულდგმული შეუდგება შენისებრსა უსირცხვილოს და უპატიოსნო ცხოვრებას? განიხილე, უბადრუკო თავო ჩემო, ისინი შენზე მაღლა სდგანან ბუნების წესზე, და შენ ბუნების გარეშედაც უსაზღვროდ მირბიხარ, რათა განძღე ნაყოფითა ურჩებისა შენისათა, მაგრამ ვერსადა მიემთხვიო განძღომასა, არამედ უფროსად სიუმითა გულისთქმისა შენისათა მოსწყდე და საუკუნოდ სიმშილსა მონებისა შენისასა მიეცე საწყალობლად. ჰაი, სახიერო მამაო ზეციერო და მოწყალებითა უსაზღვროო იესო, ცოდვილთა მხსნელო! არა დამრჩენია-რა შენ წინაშე ღირსება, რომლითა ღირს ვიქმნე გვედრო, რადგან ყოველი სხეული ჩემი საძაგლად დაფლულ არს ცოდვის უფსკრულში და შეპყრობილ უკეთურებითა, არამედ სულთქმა ოდენ შენდამი აღმოვიოხრო და ვგნესა ქვესკნელით გამო აღვავლინო: უკეთუ შესაძლებელ არს „აღმოიყვანე საპყრობილით სული ჩემი“ ამინ“.

განა, რომ, მკითხველო, თვით ჩვენ ნიჭიერ ბელეტრისტის, ბ. შიო არაგვისპირელის სახელგანთქმულ ეტიუდებშიაც ძვირად შეხვდრიხარ ადამიანის ბუნების ამისთანა დამცირებას? დიახ, ამ მხრივ ბევრი აქვთ საერთო „დაყუდებულს მღვდელ-მონოზანს ალექსის“ და ბ. არაგვისპირელს. განსხვავება ის არის, რომ პირველი აღელვებულია ადამიანის ბუნების სიმდაბლით და მთელის თავის არსებით ცდილობს მის ამაღლებას, გაკეთილშობილებას, ხოლო მეორე, პირ-იქით, თითქო რაღაც კმაყოფილებასა გრძნობს, როცა ადამიანში მდაბალს გრძნობას და პირუტყვულს მისწრაფებას აღმოაჩენს!

დანარჩენი მოძღვრებანიც ასეთისავე გრძნობით არიან დაწერილნი და ეხებიან სხვა-და-სხვა მეტად საინტერესო და მნიშვნელოვან ტემებს. ,,იმედი, მკვლელი სასოწარკვეთილებისა'', ,,სახისათვის მონოზონებისა'', ,,მიუნდობლობისათვის თავისა'', ,,სანატრელისა სიმშვიდისათვის'' და სხვა-და-სხვა, აი, სათაურები შემდეგ მოძღვრებათა, რომელთა თითო-თითოდ განხილვასაც მე ვერ შევუდგები და მხოლოდ ზოგიერთ მათგანზე მივაქცევ მკითხველის ყურადღებას. მაგალითად, მოძღვრება ,,სანატრელისა სიმშვიდისათვის'' მთელი პოეტური შესხმაა. ,,სიმშვიდე ხატებაა ღვთისა, ხოლო სიფიცხე ხატება ეშმაკისა'', იწყებს ავტორი და ასე ბოლომდის უპირდაპირებს ერთმანერთს ამ ორს ცნებას: „სიმშვიდე სული წმინდის ცვარია, დამატკბობელი გულისა, ხოლო სიფიცხე სულის უკეთურის გესლია, განმამწარებელი... სიმშვიდე კეთილის მყოფელია მოძულისა, ხოლო სიფიცხე მეგობრისაც მომძულებელია... სიმშვიდე დაავსებს აღგზნებულსა ცეცხლსა, ხოლო სიფიცხე დაასხამს ნავთსა... მშვიდი სიტკბოებაა, ყოველთათვის; ხოლო ფიცხელი ჰლექი ყოველთათვის“ და სხვა-და-სხვა.

მოძღვრება „საღმრთო წადილი“ გულწრფელის გრძნობით გამსჭვალული აღსარებაა პოეტური მონოლოგია თავის ნაკლულევანებათა შემგნების და მათთან მებრძოლის ადამიანისა.

,,დავბერდი წმინდათა ცხოვრების კითხვაში, და ხასიათის გასწორებას ვერ ვეღირსე, რადგან კითხვა მიყვარს და საქმე არა. მე როგორც ჩემი თავის უკეთურებანი ვიცი, ისე რომ სხვებმან იცოდეს, ოჰ, რა თვალის საფურთხი ვიქნები, მაგრამ მაინც რომ მოწონებას ვეძიებ!''

ამბობს ის ერთგან ამ მოძღვრებაში, რომელსაც ამ სიტყვებით ათავებს:

,,შენი სიტყვაა, მეუფეო: ,,ითხოვდით და მიიღეთო''. ესე არს თხოვნა ჩემი, რათა დაუცემლად დამამტკიცო შენსა სამსახურში, რათა სიყვარულითა შენითა აღავსო გული ჩემი და რათა არა-რა ვავნო მოყვასსა, არამედ სარგებელ რამე გამხადე ქვეყნისა. ოჰ, სისხლის ოფლით მშრომელო მკლავო ძმისა ჩემისა, ვით არ გარდაგიხადო ვალი ესე, რომლითა მზრდიდი მე შენთვის უხმარსა ძმასა, მაშინ როდესაც დატვირთული ხარ ცოდ-შვილითა და მრავალ გვარის ქვეყნის მოთხოვნილებითა''... და სხვა.

მოძღვრება ,,ძიება'' აგრეთვე გრძნობით სავსე ლირიკაა, აღმაფრთოვანებელი ჰიმნია ბერ-პოეტის გულიდან აღმომხდარი!

,,სდუმნენინ ყოველი სოფლით სიბრძნე და დამდაბლდინ გონება მაღალი და სცანით, რომელ არა იცით-რ ცისა და ქვეყანისა, თუ რასა ზედა დაფუძნებულ არს, ვინაიდგან კიდურ წერილობა უთქმელი და უცნობი!.. ვხედავ გონებასა ჩემსა, რომელია მიმორბის აღტაცებით განხილვად და ხედვად, გარნა დაღონებულსა უკუმაგდებს სულთქმაში უფსკრული მიუწდომლობისა, მაგრამ ამ დროში მოვექცევი ჩემს სატრფო საღმრთო წერილს და ვიტყვი: ,,ხელსა შინა ღვთისასა არიან კიდენი სოფლისანი!'' და ვითარცა კიბით აღმავალი განისვენებს თავსა ზედა კიბისასა, ეგრეთ ხედვითა ამით აღვალ ღვთისა თანა და მას შინა განვისვენებ''!

აი, რა სიტყვებით ათავებს ამ ჰიმნს ავტორი!

,,ღვთის მოწინააღმდეგე პირებისათვის თქმული, რომელნიც იტყვიან ბუნებით ყოფასა ქვეყნისასა'' და ''ჭაბუკისა და ბერის დავა'' მთელი ფილოსოფიური მსჯელობებია ღვთის არსებობაში მტკიცედ დარწმუნებულის განვითარებულის ადამიანისა და ბევრ თანამედროვე ფილოსოფოს-ღვთის მეტყველთა მსჯელობათ არ ჩამოუვარდება!

,,აწ უკეთუ ძალგიძთ და მიწდომილხართ გულის ხმის ყოფასა. თქვენ, ბნელის მოძღვარნო, ღვთის უარის მყოფელნო, შეჰკრიბეთ ყოველი გონიერება თქვენი და ყოველთა ბრძენთა ქვეყნისათა განზომეთ სივრცე ოთხთა კიდეთანი!.. გინა აღაგეთ ერთი ამ გვარი დედამიწა და აფრინეთ ჭაერთა ზედა, ვითარცა ესე ჰფრინავს, ჭაერთა ზედა ფრთეთა ქორთასა! რამეთუ ოთხთა კიდეთა სივრცისა განზომა და უძრავისა ფრინვა და მძიმისა არა ძალმართ სძვა ღვთისა მხოლოსა არს შემძლებლობა! ჰოი საკვირველება, რამეთუ წყალი და ცეცხლი შეთვისდენ და მძიმემან მიწამან უძრავმან მსუბუქთა და წლვილთა ჭაერთა ზედა ფრინვა დაიწყო და ვითარცა ურმის თვალი რბის სარბოლსა მის მისსა განწესებულსა ბრძანებითა ღვთისასა სხვათა მრავალთა პლანეტთა შორის!..

საძიებელ არს უკვე, ვინ არს, რომელმან პირველ აბრუნა ურმის თვალი ესე ცისა და ქვეყანისა? ანუ ვინ არს საფუძველი მისი, ვითარცა იტყვის ისაია წინასწარმეტყველი: ,,არა სცნეთ საფუძველნი ქვეყანისანი, რომელსა უპყრიეს სიმრავლენი ქვეყანისანი და დამკვიდრებულნი მას ზედა, ვითარცა მკალნი?'' ანუ ვინ არს, ძმანო, მზრძანე-

პულიარული სამეცნიერო საკითხავები საშუალო სასწავლებელთა უფროს კლასების შეგირდებისათვის (ქალთა და ვაჟთათვის). დღემდის გამართულა 32 საკითხავი. მსმენელი ყოველთვის ბევრი ესწრება. წაუკითხავთ და უნდა წაიკითხონ შემდეგი ლექციები: „საზრდო და მისი მნიშვნელობა ხასიათისათვის“, ,,საგანი და მეთოდი საისტორიო მეცნიერებისა“, ,,უმთავრესი მიმართულებანი დასავლეთ ევროპის მწერლობაში, „ოქრო და მისი შემუშავება“ და სხ.

— წელს სრულდება ასი წელიწადი დორპატის (იურიევის) უნივერსიტეტის არსებობისა. უნივერსიტეტი დააარსეს ადგილობრივმა მცხოვრებლებმა 21 აპრილს 1802 წელს და პირველად ერქვა სახელად ,,საპროტესტანტო უნივერსიტეტი“, რომელიც 12 დეკემბერს მთავრობამ შესცვალა საიმპერატორო უნივერსიტეტად.

— როგორც მკითხველებმა უწყიან, ამას წინად პეტერბურგში დაიწყო სრულიად რუსეთის შინა-მრეწველობის გამოფენა. კავკასიის ნაწარმოები ძალიან ცოტა არის თურმე გამოფენილი. ნაბდები, მათრახები, აბრეშუმეულობა, ნაქარგავები, იარაღები, ჩიბუხები, ხალიჩები—აი, რა წარმოუდგენიათ კავკასიის შინა-მრეწველებს. ყველაზედ მეტი ნიჭი და ცოდნა კავკასიის მცხოვრებთ ვერცხლის ნივთების, იარაღების გაკეთებაში გამოუჩენიათ. შუა-აზიის განყოფილებას გამოუფენია უმთავრესად ხალიჩები. ყირიმიდგან ძალიან ცოტა ნაწარმოებია: უფრო ნაქსოვებია. უკეთესად არის წარმოდგენილი სამხრეთ-დასავლეთი, რომლის წვრილი მრეწველობა ძალიან განვითარებულია. გამოფენილია ნაქსოვები, ქილობები და სხ. სასაცილოდ არის წარმოდგენილი პოლშა, გამოფენილია ცოტა და უმნიშვნელო ნივთები. ბევრი ნივთებია ბალტიის გუბერნიებიდგან—მშვენიერი ნაქსოვები, დაწნული მებელი, კალათები და სხ. ფინლანდიის გამოუფენია ცოტა და საუცხოვო ნაწარმოებნი: მებელი, ხალიჩები (გობელენები), ხის, ფაიფურის, ტყავის ნივთები, თევზის საჭერი იარაღები; ყველაფერი დიდად საყურადღებოა.

გუშინდელ №-ში უნდა იყოს: საუნივერსიტეტო წესდება განხილული იქნება ამ გაზაფხულს (და არა ზაფხულს, როგორც იყო დაბეჭდილი.

# უცხოეთი

**გერმანია.** დიდი ლაპარაკი და მითქმა-მოთქმა გამოუწვევია მთელს გერმანიაში ერთ დეპუტატის წერილს, რომელიც დაბეჭდილი ყოფილა ,,Beobachter“-ში. ავტორი აი, რას ამბობს გერმანიის შესახებ: ,,ჩვენ სრულიად მოწყვეტილნი ვართ დანარჩენ ქვეყანას, არც მეგობრები გვყავს, არც შემწე-დამხმარებელნი. გარშემო მოსისხლე მტრები გვახვევიან, რომელთაც ჩვენი დაღუპვა, მიწასთან გასწორება და განადგურება უნდათ. ავსტრიის მემკვიდრე პრინცის პეტერბურგში მგზავრობას დიდი მნიშვნელობა აქვს. ვენაში მემკვიდრეს სრული უფლება მიანიჭეს დასდოს რუსეთთან ხელშეკრულობა ბალკანიის შესახებ და, თუ მემკვიდრემ თან მოიტანა დაწერილი ხელ-შეკრულება, ავსტრია ჩვენ არაფრად ჩაგვაგდებს. რუსეთისა და ავსტრიის მეგობრობა ჩვენთვის დიდად საზარალოა, რადგანაც ჩვენი კეთილ-დღეობა რუსეთისა და ავსტრიის მტრობაზედ იყო დამოკიდებული. ავსტრიის რუსეთთან დამეგობრება იმის გასლავიანებასა ჰნიშნავს: ახლო მომავალში ჩეხთა ენა და სახელმწიფო შეიძლება ბადენბახიდგან ვიდენამდე გავრცელდეს. პრაგასა და ლვოვში, მოსკოვსა და პარიჟში მოუთმენლად მოელიან იმ დღეს, როდესაც გერმანია შევიწროებული იქნება. ჩვენ დავშორდით ინგლისს. იტალია თავის-თავადა გვშორდება. იტალიას წინადაც საფრანგეთისაკენ ეჭირა თვალი. ჩერნოგორიის მთავრის ასულს, რომელიც ამ ჟამად ნამდვილი მეფეა იტალიისა, არ ვუყვარვართ. ამ რიგად ძირი გამოეთხარა სამთა კავშირს. ეხლა ჩვენ მარტონი ვართ, იმედი აღარ უნდა გვქონდეს აღარც ინგლისისა და აღარც შტატებისა. თუ უბედურება შეგვემთხვა და ვინმემ ფეხი დაგვაჭირა, ჩვენს ბიძა-შვილებს ამერიკელებს ეს გაახარებს მხოლოდ, რადგანაც სამრეწველო ასპარეზიდგან ისინი მეტოქეს მოიშორებენ. ესეთია ავსტრიელებისა, იტალიელებისა და ფრანგების მიერ მოტყუებულ გერმანიის მდგომარეობა“.

**საფრანგეთი.** ამომრჩეველთა ჯგუფები საფრანგეთში დიდ ფაცა-ფუცში არიან. ორატორები დაძრწიან ქალაქ-ქალაქ და თავისს მჭევრ-მეტყველობას არა ჰზოგავენ მომხრეთა მოსაპოვებლად. ამ დღეებში ნაციონალისტმა ფრანსუა კოპპემ სიტყვა წარმოსთქვა კრებაზედ, რომელსაც თითქმის მარტო მანდილოსანნი დაესწრნენ. კოპპემ მადლობა გადაუხადა მათ იმისთვის, რომ ,,საფრანგეთის მანდილოსანთა ლიგა“ ,,კარგ კანდიდატებს“ მხარს უჭერსო, ,,თუმცა პირადად თქვენ ვერ ღებულობთ მონაწილეობას ბრძოლაში, მაგრამ თქვენ გვაწოდებთ პატრონებსა და მეომართ, რომელთაც შეუძლიანთ ბრძოლა. ჩვენ დავსძლევთ და ერთხელ კიდევ გამართლდება ის ანდაზა, რომ: ,,le que femme vent, Dieu le vent“.

მანდილოსანთ მიმართა აგრეთვე გრაფმა მენმა თავის სიტყვაში, რომელიც სენის დეპარტამენტის კრებაზე წარმოსთქვა. დიდი ხოტბა შეასხა საფრანგეთის მანდილოსანთა ლიგის მოღვაწეობას და სთქვა, რომ კონსერვატიული დასი ამაყობს მათის დახმარებითაო. საზოგადოდ, ეხლანდელ საარჩევნო საქმეებში საფრანგეთის მანდილოსანთ დიდი ადგილი უჭირავთ.

**სამხრეთ-აფრიკის ომი.** კიტჩენერი იტყობინება პრეტორიიდგან, რომ 10 მარტიდგან მოკლულია 11 ბური, დაჭრილია 7 და დატყვევებული 158. გარდა ამისა, 126 კაცმა მორჩილება გამოგვიცხადაო, ამავე დროს ინგლისელების მხრივ 124 კაცი მოკლულია, 126 კაცი სხვა-და-სხვა სენს უმსხვერპლნია, 203 დაჭრილი, 252 ტყვედ წაყვანილი, რომელთაგან 216 ისევ გაუნთავისუფლებიათ.

ამ ჟამად დევეტი პერისის მიდამოებში იმყოფება მცირე რაზმით.

გამილტონის მიერ შეპყრობილი ბურების გენერალი ჰერრი ემმეტი შვილის-შვილი ყოფილა იმ მამაც ირლანდიელ რობერტ ემმეტისა, რომელმაც 1803 წ. დიდი აღელვება მოახდინა ინგლისის წინააღმდეგ და დუბლინის კოშკის აღებას ჰლამობდა. დამარცხების შემდეგ გაქცევა არ ინდომა და თავის საცოლოს, მისს კურრონის, ნახვა მოისურვა. ამასობაში დაიჭირეს და ჩამოახრჩეს. ინგლისის მართლ-მსაჯულებამ საჭიროდ დაინახა მისი გვამისათვის თავიც მოეკვეთნა. ჰერრი ემმეტის ერთი ქალი ლუი ბოტას მეუღლე შეიქნა.

„War office“ გამოაქვეყნა ახალი ლურჯი წიგნი ტყვეთა ბანაკების შესახებ. 1901 წლის დამლევს ბანაკებში იყო: 5,676 კაცი —14,537 დედა-კაცი და 23,542 ბავშვი. ქრისტეშობისთვეში მოვიდა: 85 კაცი, 250 დედა-კაცი და 910 ბავშვი. ამათთაგან 60 წითელას უმსხვერპლნია, 275 ფილტვებით ავადმყოფობას და 590 მუცლის ავადმყოფობას.

— როგორც ინგლისის გაზეთები იტყობინებიან, ლორდ მეტუენს, თუმცა სიკვდილის შიში არა აქვს, მაგრამ დაჭრილი ფეხის მოჭრა მაინც დასჭირდება თურმე. კლერსდორპში მგზავრობის დროს ნამეტანი აჯანჯღალეს ურემზე და ამიტომ ჭრილობა მეტად გაუძნელდა.

**მაკედონია.** „ვეჰ. ჰჰ.“-ი შემდეგ ამბავს გადმოგვცემს, სამხრეთ მაკედონიაში მომხდარს. ასეთი ამბები თითქმის ყოველ დღე ხდება მაკედონიაში, მკითხველი ამიტომ ადვილად მიჰხვდება, რამდენად გამწარებული უნდა იყოს მაკედონელთა ყოფა-მდგომარეობა. ოსმალელ პოლიციელთა და მოხელეთაგან შევიწროებულს სოფელ შეტსოვის მასწავლებელს, კოზმა სტეფოვს, ვეღარ აუტანია ათასი უსამართლობა და შარშან შეუდგენია პატარა რაზმი (ათი კაცი იყო ამ რაზმში) და იმასთან ერთად მივარდნილ მთებსა და ტყეებში გადავარდნილა. მას შემდეგ ერთმა წელმა განვლო. უკმაყოფილო მაკედონელნი საკვებს ვერსად შოულობდნენ და, მშიერ-მწყურვალნი, ღრეებსა და კლდეებში დახეტიალობდნენ. სამაგიეროს გადახდაც ოსმალებისათვის ვერ მოეხერხებინათ. ბოლოს სტეფოვს მოუსურვებია სოფელში დაბრუნება და იქ მყოფ თავის დანიშნულის მასწავლებელ ქალის ნახვა. ოსმალებს, შეუტყვიათ-რა ეს ამბავი, შეიარაღებული პოლიციელები შემოურტყავთ მთელ იმ სოფლისათვის, სადაც მასწავლებელი ქალი სცხოვრობდა. ღამე ოსმალელნი სოფელში დაჰხვედრიან სტეფოვსა და იმის მეგობრებს და მთელი ბრძოლა გამართულა, რომლის დროსაც მძიმედ დაუჭრიათ სტეფოვი და ერთი მაკედონელი. დაჭრილი მასწავლებელი დანიშნულის სახლში შეუყვანიათ. ოსმალნი დაჰრევიან სოფლელთ, უწყალოდა ჟლეტავდნენ თურმე ყველას და ცეცხლს უკიდებდნენ სახლებს. მალე ოსმალები მასწავლებელ ქალის სახლს შემოერტყნენ. როდესაც კარების შემტვრევა განუზრახავთ, გარედ გამოსულა ქალი და რევოლვერით ერთი ოსმალი იქვე გაუგორებია; მალე ტყვიით განგმირული თვითონაც იქვე დაცემულა. ოსმალეთ თავები დაუჭრიათ მოკლულთათვის, ჯოხებზედ აუცვავთ და კოსტურში წაუღიათ. მთელი სოფელი წასულა ამ საქმის გამო ფაშასთან საჩივლელად და ამ უკანასკნელის ბრძანებით ჯარს ყველანი ცემა-ტყეპით გაუსტუმრებია უკანვე.

**ოსმალეთი.** ოსმალეთის სიხარულს ინგლის-იაპონიის ხელშეკრულობის გამო საზღვარი არა აქვს. ჩვენ უკვე მოვიყვანეთ ზოგიერთა ოსმალურ გაზეთების აზრი ამ ხელშეკრულების შესახებ. ოსმალების აზრით სამთა კავშირს ეხლა ინგლის-იაპონიის ორთა კავშირი მიემატა. ამ კავშირების წყალობით-კი ბოლო მოეღება რუსეთის პარპაშობას, სიძლიერეს, როგორც დასავლეთში ისე შორეულ აღმოსავლეთში. რუსეთს ყოველის მხრიდგან განსაცდელი მოელის, იგი ვეღარ მოიცლის კონსტანტინეპოლისა და ოსმალეთის პროვინციების დასაპყრობადაო. დიდად გახარებულნი ოსმალნი იმასაცა სწერენ, რომ ინგლისი და იაპონია თან-და-თან მაჰმადიან სახელმწიფოებად გადაიქცევიან და ამ რიგად მთელს აზიაში ისლამს გააძლიერებენო. ოსმალეთის გაზეთებს იაპონია ცამდე აჰყავთ.

— ერთ რუსულ გაზეთს შემდეგ ამბავსა სწერენ კონსტანტინეპოლიდგან. სამხედრო სასამართლომ განიხილა მარშლის ფუად-ფაშას საქმე და გადაუწყვიტა მას ღირსებისა და ორდენების ჩამორთმევა, ოჯახისაგან გაშორება და ციხეში დაპატიმრება. გამოძიებამ შეთქმულება აღმოაჩინა, რომლის სული და გული ფუად-ფაშა ყოფილა. შეთქმულთ აზრადა ჰქონიათ სულთან აბდულ-ჰამიდის გადაყენება და მემკვიდრის ტახტზედ აყვანა. უკანასკნელის ორი სამის კვირის განმავლობაში მოხელეებმა ადმინისტრატიულის წესით 300-მდე აფიცერსა და მოხელეს უკრეს თავი სირიასა და არაბეთში. ეხლაც ბევრს აპატიმრებენ.“

**ინგლისი.** 6 მარტს დეპუტატმა გრინმა სთხოვა პალატას იმ კანონ-პროექტის განხილვას შეუდგეს, რომელიც მოხუცებულთათვის განზრახულ პენსიებს შეეხება. ამ პროექტის ძალით იმ 75 წლისაზედ უფროს მოხუცს, რომელთაც კვირაში 6 მანეთზე ნაკლები შემოსავალი აქვთ, პენსიის მიღების უფლება ეძლევათ; უნდა მიეცეთ კვირაში $2^1/_2$-დგან $3^1/_2$ მანეთამდე. კანონ-პროექტის ავტორების ანგარიშით, ამ რეფორმის განსახორციელებლად სახელმწიფოს დასჭირდება ეხლა წელიწადში 100 მილიონი მანეთი, ხოლო 1961 წლიდგან—120 მილიონი. პალატაში ეს ბილი მეორედ წაიკითხეს მხოლოდ. უნდა მესამედაც წაიკითხონ, ასე რომ ძნელია ეხლა იმის თქმა, პალატა შეიწყნარებს თუ არა.

**ავსტრ-უნგრეთი.** ამას წინად ტრიესტში მოუპარავთ ნავთ სადგურის სამუშაოებისათვის დამზადებული დინამიტი. ამ ამბავს ძალიან დაუღონებია მთავრობა. მოხელეებს უსახელო წერილი მიუღიათ, რომელშიაც ატყობინებენ, რომ დინამიტი გემების ასაფეთქებლად არის მოპარულიო. პოლიცია დიდის გულმოდგინეობით შეუდგა კვლევა-ძიებას ამ საქმის გამო.

— გერმანელები საშინლად გააბრაზა იმ დამარცხებამ პარლამენტში, რომლის შესახებაც გუშინა ვწერდით. საოცარი უწესოება და აურ-ზაური აუტეხიათ გერმანელებს. ისინი მინისტრების სკამებს მიჰვარდნიან და დაუწყიათ ყვირილი: „გადით, დაიკარგენით აქედგანაო!“ მინისტრ-პრეზიდენტს კერბერს პოლონელი დეპუტატები შემოჰხვევიან და იმათ დახმარებით იგი, როგორც იქმნა, უვნებელი გასულა გარეთ. გერმანელები უშვერის სიტყვით იხსენიებდნენ თურმე იმპერატორს, პაპის, იტალიელებს, სლავიანებს. შემდეგ გერმანელთა დასებს კრება ჰქონიათ, რომელზედაც დაუდგენიათ [illegible] მართონ კერბერის სამინისტრო.

# წვრილი ამბები

უმავთულო ტელეგრაფებს არა სჯერდებიან და ეხლა უმავთულო ტელეფონების გამართვასაც აპირებენ. ინჟენერმა მეშმა ჯერ ისევ 1867 წელს შეატყობინა საფრანგეთის მაშინდელ ფოსტათა და ტელეგრაფთა დირექტორს, რომ შემიძლიან უმავთულო ტელეფონს გამართვა მცირე მანძილზედ და დალაპარაკებაო. მას შემდეგ მეშს ამ საქმისათვის თავი აღარ გაუნებებია და 1899 წელს სენ-ჟერმენის ტყეში ექვსასის მილის მანძილზედ მართლაც გამართა უმავთულო ტელეფონი. ცდამ საუკეთესო ნაყოფი მოიტანა. ამ წელს მეში მონაკოს მთავარმა მიიწვია თავისს მამულს მარენგოში, სადაც იგი თავის გამოგონების მოწყობასა და გაუმჯობესებას შეუდგა. ჯერ-ჯერობით უმავთულო ტელეფონით მეშს მხოლოდ მცირე მანძილზედ, შვიდ ვერსზედ, შეუძლიან დალაპარაკება. მთელი მოწყობილება ამ ტელეფონისათვის პატარა აბგაში ჩაეტევა, ასე რომ მგზავრს გზაშიაც შეუძლიან დადგას პატარა აპარატები და გამოელაპარაკოს მახლობელ სადგურს, სოფელს, ან ქალაქს. უმთავრესი ამ ტელეფონისათვის გალვანიური ბატარეაა, ტელეფონი, მიკროფონი და ეგრედ წოდებული მანიპულიატორი—ყუთი, რომელშიაც გამოგონების საიდუმლოებაა. მეშს იმედი აქვს, მალე ისე მოაწყოს თავისი უმავთულო ტელეფონი, რომ დიდ მანძილზედ ლაპარაკიც შესაძლებელი შეიქმნეს.

* * *

ძველადვე თითქმის ყველა ხალხის ჩვეულებამ აღკრძალა ქორწინება მახლობელ ნათესავთა შორის. შემდეგში სარწმუნოების წყალობით ეს ჩვეულება სახელმწიფოებმა დააკანონეს, ასე რომ დღეს განათლებულ ერთა შორის მახლობელ ნათესავთა ქორწინება აღკრძალულია. სამკურნალო მეცნიერება ამ ბოლოს დროს გულ-მოდგინედ შეუდგა იმის გამოკვლევას, რა ვნება მოსდევს შთამომავლობისათვის მახლობელთა შორის ქორწინებას. უმრავლესობა საზარალოდა სცნობს ასეთ ქორწინებას. პროფესორმა მეიემ მრავალი სასტატისტიკო ცნობა შეკრიბა სულით ავადმყოფთა შესახებ. ამ პროფესორის გამოკვლევით აღმოჩნდა, რომ 155,516 სულით-ავადმყოფიდგან 71,075 ავადმყოფი შვილი ან შვილის-შვილი ყოფილა ისეთ მეუღლეთა, რომელნიც მახლობელ ნათესავად მოხვდებიან ერთმანეთს. ხშირად ასეთ ქორწინების შედეგი, სულით-ავადმყოფობა ან სხვა რამ სენი, შორეულ შთამომავლობაში იჩენს ხოლმე თავს. უკვე შეკრებილი ცნობები საკმაოდ ამტკიცებენ, რომ მახლობელთა შორის ქორწინება მავნებელი და საზარალოა შთამომავლობისათვის.

* * *

ცნობილ იტალიელ მეცნიერს ლომბროზოს ამას წინად გამოუცია საყურადღებო წიგნი დანაშაულობისა და დამნაშავეთა შესახებ. როგორც სასტატისტიკო ცნობებიდგანა სჩანს, ევროპასა და ამერიკაში მე-19 საუკუნის მეორე ნახევარს მკვლელობათა რიცხვი შესამჩნევად დაკლებულა. სხვა დანაშაულობა, როგორც, მაგალითად, ქურდობა, [illegible] იმდენი ხდება, რამდენიც წინადა ხდებოდა. გადაშენება (вырожденіе), ეს განუყრელი თანამგზავრი ჩვენის ცივილიზაციისა, აჩენს ახალ, წინად არ ცნობილ, დანაშაულობათ. გაძლიერდა აგრეთვე თვით-მკვლელობა და სულით-ავადმყოფობა. ბევრი დანაშაულობა არა ხორციელდება, რადგანაც დანაშაულობის ჩასადენად ყველაზედ უფრო მომზადებულნი (თვით-მკვლელნი და სულით ავადმყოფნი) ადრე ესალმებიან წუთი-სოფელს ან უვნებელნი ხდებიან. თავის გამოკვლევის ბოლოში ლომბროზო სწერს: ,,უნდა ვიფიქროთ, რომ დანაშაულობა არასოდეს არ მოისპობა დედა-მიწაზედ, რა საშუალებითაც უნდა იბრძოლოს კაცობრიობამ იმის წინააღმდეგ. ყოველ შემთხვევაში, სახეს იცვლის დანაშაულობა და თვით დანაშაულობათა რიცხვიც შემცირდება, იმ დანაშაულობათა გარდა, რომელთა ჩადენის მიზეზიც დედაკაცის პატიოსნებაა (?), დადგება დრო, როდესაც დანაშაულობას სულ სხვა თვალით შეჰხედავენ, როდესაც იგი არა-ნორმალურ მოვლე-

---

ბელი სიბრძნე ესე, რამეთუ ბრძენსა ვისმე დიდისა ხუროვანისა, კაცთა მიუწდომელის მეცნიერებითა ბრძანება წარწერილ არს თითოეულსა განწესებასა და წესწყობილებათა ზედა არსთასა! აწ გულის ხმა ჰყავ გონიერად ესე ყოველივე... რამეთუ სადაცა სიბრძნე მეცნიერობს, მუნცა უშველად სიცოცხლეა, და სადაცა სიცოცხლე უნივთოდ სიბრძნითა და მეცნიერებითა არსებობს, მუნცა უშველად უკვდავებაა და თუ უკვდავია—დაუსრულებელიცაა! და სხვა რომელი იყოს ესე, გარნა ღმერთი, რომლისა მსგავსებასა ჩვენ ზიარ გვყოს უაღმატებულესითა ხატივითა და ამითვე სიბრძნითა და მეცნიერებითა ნათესავ ღვთისა და მადლისა ვიწოდენით!“..

ამბობს ის პირველს თავის მოძღვრებაში, სხვათა შორის, და ამავე აზრს კიდევ უფრო დაწვრილებით ხსნის და მარტავს მეორე მოძღვრებაში, რომელშიაც ჰაბუკსა და ბერს აბაასებს ერთმანეთთან.

დანარჩენთაგან უფრო შესანიშნავნი არიან მოძღვრებანი: „შურმან არა იცის პატივი ძმისა“, რომელშიაც შესაფერად არის დაგმობილი ეს უღირსი თვისება ადამიანისა; ,,მოწაფისად კნეინასადმი მიწერილი“, რომელშიაც მოძღვარი დარიგებას აძლევს ახალგათხოვილს თავის მოწაფეს და უთითებს საზოგადოდ ადამიანისა და კერძოდ მეუღლისა და დედის მოვალეობაზე; „წმინდა არს ქორწილი და საწოლი შეუგინებელი“, სადაც ცოლ-ქმრულ კავშირზეა ლაპარაკი და ნაჩვენებია, თუ რაოდენი ვნება მოაქვს ამ კავშირის სიწმინდის შემბღალავს; „ლოცვისათვის“, რომელშიაც დახასიათებულია, თუ როგორი უნდა იყოს ლოცვა; „სანატრელის სიმდაბლისათვის“, რომელიც.... მაგრამ კმარა, თვარა ყველა მოძღვრებათა ცალკ-ცალკე ჩამოთვლა დამჭირდება, რადგან ყოველი მოძღვრება, ყოველი ადგილი, ამ წიგნში მოთავსებული, შესანიშნავია თავის გულწრფელობით; გამსჭვალულია წმინდა გრძნობით და მოყვასთათვის სარგებლობის მოტანის სურვილით. შეიძლება რაშიმე არ დაეთანხმოთ „დაყუდებულ მღვდელ-მონაზონს ალექსის“, მაგრამ შეუძლებელია პატივი არა სცეთ მის რწმენას და ყოველ მის აზრს, როგორც მტკიცედ დარწმუნებულ და გულწრფელ კაცისას!.

მეორე წიგნი „ალექსი“, რომელშიაც მოთავსებულია მისივე ლექსები, აგრეთვე არანაკლებ საინტერესოა, რადგან ერთის მხრივ ამ ლექსებში შეხვდებით იმავე აზრებს, რომლებიც ,,მოძღვრებებშია“ და მეორეს მხრივ შეიტყობთ თვით მამა ალექსის ცხოვრებას. ,,სოფელთან გამოთხოვება ოცის წლის ალექსის მიერ და იმავე დღეს მისგან თქმული“, აი, პირველ ლექსის სათაური! ამ ნაირად, როგორც ხედავთ, ჯერ ისევ ოცის წლისა შესდგომია იგი ღვთის სამსახურს და შემდეგ არამც თუ თვითონ განმტკიცებულა ამ სამსახურში, თითქმის მთელი თავისი ოჯახი გადუყვანია თავის აზრზე და მიუტოვებინებია სოფლური ცხოვრება. უკანასკნელი ლექსი ამ წიგნში არის: ,,სამადლობელი ღვთის წინაშე სახლობით წოდებისა და შედგომისათვის, რომელიც ასე იწყება:

,,მსურის, ღმერთო, რომ შეგწირო სულით-გულით მადლობანი,
ჩვენზედ რაცა მონიჭებულ შენგნითსა ღმრთო წყალობანი,
რომლით შენდა შედგომილნი გმონებთ ერთობ სახლობანი,
ხუთნი შენგნით წოდებულნი, გწიროთ მარად მადლობანი.

,, რა მიგაგოთ, შენ უფალსა, ესრედ ჩვენად, შემყვარებელს,
თვით სახიერს, თვით მდიდარსა, თვით მეუფეს, დამბადებელს,
ჩვენ სისაწყლის მომხედველსა, ნეტარებით მახარებელს,
სოფლის ღელვით გამომყვანსა და ედემად აღმყვანებელს!

„აწ მომწყდარნი ოჯახობით დავესახლეთ მაღალ მთაზე,
გარდავწყვიტეთ ხორცთა ტანჯვა, მიმყვანებელ ვიწრო გზაზე,
სალხინებლად სულთა რწმენა გვისვენია ჯვარი მხარზე,
ამას გვედრით, ამას ვითხოვთ, ვიქმნეთ ჩვენცა ცმული ჯვარზე“...

დანარჩენ ლექსებში შესანიშნავია: „ძმანო!“, ,,ღვთის უარის მყოფელთათვის“, ,,გოდება ხორცისა“, ,,სულის ნეტარება“, ,,მცირე კეთილის მინდობილი“, ,,განწირულებისათვის“, „დისა ჩემისა სალომესადმი ქალიშვილობის დროზედ მიწერილი“, ,,გულით ლოცვისათვის“, „შესხმა მონოზონისა, ქალწულისა ნინოსი, კონსტანტინე დადიანის ასულისა“, ,,მძიმე განსაცდელში მყოფი საკუთარი დისა სალომესადმი მიწერილი“, ,,არა ყოველთა, არამედ ზოგიერთთა“, ,,უწდომი“... მაგრამ რაღა გავაგრძელო? როგორც მოძღვრებანი, ისე ყველა ეს ლექსებიც შესანიშნავნი არიან, როგორც გულ-წრფელ გრძნობით აღსავსენი და, ხშირად პოეტურ შემოქმედებასაც არ მოკლებულნი! ნებას მივცემ ჩემს თავს მოვიყვანო რამდენიმე ადგილი ამ ლექსებიდგან, რომ მკითხველი თვითონ დარწმუნდეს მათს თავისებურს ღირსებაში! აი, მაგალითად, დასაწყისი ლექსისა: „ძმანო“!

„ზღვასა შიგან ვართ მდგომარე, სოფლის ღელვითა კრულია,
ხორცს შევექცევით დამპალსა, სული დავაგდეთ წყლულია,
წირვა და ლოცვა ვიძულეთ, ვიყვარეთ ზღაპრად თქმულია,
ქრისტეს სახელი ვამცირეთ, მაღალ ზნეობის სჯულია.

«გვიყვარს ქეიფი, თამაში, წუთის ამაო შვენება,
დიდკაცობა და პატივი, შური, მოყვასთა მტერობა,
ხორცის დიდება, ფუფუნი, ტანთა შვენება, ფერობა,
მაგრამ ისმინეთ ქრისტესი, იმისი გვიღირს ჯერობა.

«ვიგონოთ, ძმანო, წარსული, ხსოვნა მოვიღოთ მაზედა,
გუშინ რომ ჩვენთან ილხენდნენ, დღეს სად გვეფარა წამზედა?
ცოლი და შვილი მწუხარე უტირთ ვაების ხმაზედა!
ჩვენცა გვეწვევის უეცრად უწყალო იგი კარზედა»...

აი ლექსი ,,მცირე კეთილის მინდობილი“, რომელსაც სავსებით ამოვსწერ:

«ვაი, გონებას დამძიმებულსა, ცოდვის ბადეში გახვეულია,
დამძიმებული უსასოებით ქვეყნის ფიქრებში გარეულია,
მყუდროებასა ვეღარ შეიკრებს, ხორცის მონებით დაბნეულია:
ღმერთო, მაღვიძე და აღმადგინე, მონა, ბოროტად დაცემულია.

«ღამე ბნელაში ნათობს მთოვარე, მასთან ვარსკვლავთა უმეტესობა,
ვიდრე მზის შუქი აღმობრწყინვიდეს, მოსჩანს კეთილად მათი შვენება,
ოდეს აღმოხდეს მზე მშვენიერი, მაშინ ვიხილოთ მათი ტყვეობა!
მას ემზგავსება კაცის ცხოვრება, კაცის ბუნება, ცთომილ-ზნეობა.

«კაცი ღორდება მცირე კეთილით, ორთავე უფლის მონებიანი,
ღამის სიბნელე არად შერაცხა, მცირე ნათობის ქონებიანი,
უზესთაობა დღისა ნათელი—მზე-კი არ ახსოვს სხივებიანი;
აღმოგვიბრწყინე, მზეო, ნათელი მაღალ-მხედველი, გონებიანი“!..

აი, ლექსის „გულით ლოცვისათვის“ დასაწყისი:

,,გულით ლოცვა არს ძვირსფასი,
მაღლის სათნო საკმეველი,
ანგელოზებრ შესამზგავსი,
ლოცვა გულის სასურველი“,

,,შესხმა მონოზონისა, ქალწულისა ნინასი“ ასე იწყება:

,,გაქებ საქებო, უმანკო სულო,
ზეცისა სძალო, ქალწულო ნინა!
მთავრის შტოისა ედემად რგულო,
შენ მონაზნობა ვინ მოკასმინა!..“ და სხვა.

ამ ნაირად, როგორც ხედავთ, ჩვენს მოძღვარს ლექსთა წყობაც ჩინებულად ემარჯვება და ბევრი მისი ლექსი, როგორც პოეტური ნაწარმოები, თვით მხატვრობის მხრივაც, შინაარსზედ რომ აღარა ვსთქვათ-რა, ზოგივით ჩვენ ცნობილ პოეტების ლექსებს არ ჩამოუვარდება!.. მე მგონი, როგორც ერთი, ისე მეორე, ზემოდ განხილული წიგნი, ღირსია ქართველ მკითხველის ყურადღებისა, განსაკუთრებით ჩვენ სასულიერო წოდების წარმომადგენელთა და, იმედია, „თეკლათის დედათა მონასტერი“ არ ინანებს მათი გამოცემით; პირ-იქით, როგორც მატერიალურად, ისე ზნეობრივად ღირსეულად იქმნება დაფასებული და დაჯილდოვებული ეს კეთილი ნაბიჯი!..

დუტუ მეგრელი.

ნად იქმნება მიჩნეული, რომლის ჩამდენიც შებრალებისა და არა დასჯის ღირსია.

* * *

ინჟენერი ეჟენ ბრისსო ურჩევს იმათ, ვინც თამბაქოსა სწევენ, თამბაქოს მაგიერ ყავის ხის ფოთოლი იხმარონ. ქიმიურმა ანალიზმა დაამტკიცა, რომ ეს ფოთოლი სრულებით არ შეიცავს შხამს. ეს ფოთოლი შემდეგ ნივთიერებათაგან შესდგება: აზოტისა, ყავის სიმჟავისა, ფოსფორის სიმჟავისა, პატაშისა, სოდისა, კირისა და მაგნეზიისაგან. ყავის ფოთოლი სწრაფად იწვება, კომლიც ბლომად აქვს.

# სასოფლო მეურნეობა.

## ქათმების ჯიშები.

სამეურნეო ფრინველების მომვლელ-მომშენებელის საგანი ის არის, რომ მცირე ხარჯსა და შრომასთან რაც შეიძლება მეტი მოგება ნახოს. თუ ფულსა და შრომას ვანდომებთ, მასალაც ისეთი უნდა გვქონდეს, რომ გადაგვიხადოს ჩვენი ზრუნვა. ამისთვის აქ ჩამოვთვლი ფრინველების ისეთის ჯიშებს, რომლის მოშენებისათვისაც სწორედ ღირს კაცმა ხარჯი ითავოს, რადგანაც სამაგიეროდ შესაფერ ფასის ნაყოფს მიიღებს. მსურველს ქვემორე ჩამოთვლილ ჯიშებიდგან შეუძლიან გამოირჩიოს მისი მოსაწონი მასალა, რომელიც მისთვის და მის ბაზრისთვის უფრო საჭირო არის. რაიცა შეეხება მათს მოვლასა და მოშენებას, ამან არ უნდა დაგვაფიქროს, რადგანაც შრომა და ხარჯი მათის შენახვისათვის იგივეა საჭირო, რაც ჩვენებურ ფრინველებისთვის. მაგრამ, თუ ეს ჯიშის ფრინველიც ისე უყურადღებოდ მიანებეთ, როგორც ჩვენებური, თუ ამასაც თავისი სახლ-კარი თავისს დროზედ არ ექმნება, მაშინ იგივე ბოლო ექმნება, რაც ეხლა. მართალია დაგვეხარჯება ცოტა ფული ამ ფრინველების საყიდლად, მაგრამ როცა ერთ დედალ-მამლის მაგიერ იმავე წელში მთელს ბუდეს ვიყოლიებთ, ის ათჯერ მეტს შამოგვიტანს დახარჯულ ფულზე.

ყველა ჯიში ქათმებისა განიყოფება სამ ჯგუფად: 1) სახორცე, 2) კვერცხის მდებელი და 3) საზოგადოდ სასარგებლო. პირველი იძლევა ბევრს ხორცს და ნაკლებად კვერცხს, მეორე—ბევრს კვერცხს და შედარებით ნაკლებად ხორცს, მესამე საკმაოდ კვერცხს იძლევა და სახორცეც არის. სახორცე ქათამს გულ-მკერდი რაც შეიძლება დიდი უნდა ჰქონდეს, რადგანაც საუკეთესო ხორცი გულ-მკერდის ძვლებზე არის მიკრული, ფეხები შედარებით მოკლე უნდა ჰქონდეს, ბურდღლი მაგრა უნდა იყოს მიკრული ტანზედ, ტანი (გულ-მკერდი) ზეით უნდა ჰქონდეს აწეული.

კვერცხის-მდებელ ქათამს ტანის უკანა ნაწილი (მუცელი, კურტუმო) უფრო ზეით უნდა ჰქონდეს აწეული და ფართე.

საზოგადოდ სასარგებლო ქათამს თანასწორად უნდა ჰქონდეს მოზრდილი წინა და უკანა ნაწილები.

—

### I სახორცე ქათმების ჯიშები:

#### 1, მალაის ჯიში.

უმეტესად მოწითანო, წაბლის ფერისაა. ამაყი შეხედულობა აქვს. მამალი იწონის ცხრას და დედალი შვიდს, შვიდ-ნახევარ გირვანქას. ფეხები და ნისკარტი ყვითელი აქვს. კვერცხებს იძლევა მაგარ ნაჭუჭიანს, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს შორს გაგზავნისათვის, შეიძლება დიდ-ხანს შენახვა. წიწილები მაგარი გამოდიან, მაგრამ მალე არ იმოსებიან ბურდღლით, ამიტომ ზამთარში გამოჩეკილი წიწილები ადვილად ცივდებიან, უკეთესი იქნება მათი გამოყვანა მარტიდგან. დედლები შესამჩნევად დიდები გამოდიან. მამალი სხვა ჯიშის ქათმის მამალს ვერ ჰგუობს. ეს ჯიში ძალიან გამოდგა ქუთაისის და ტფილისის გუბერნიებში. ტფილისში ამ ქათმებს ეძახიან სპარსეთის ან ბუხარის ქათმებს. მალაის მამალი შეერთებული ჩვენს დედლებთან იძლევა ძვირფასს გადაგვარებულს შთამომავლობას.

#### 2, გუდინი.

მამალი იწონის $7^1/_2$—8 გირვანქას, დედალი $6^1/_2$ გირვანქამდე. ფეხებზედ ხუთ-ხუთი თითი აქვს. ფერად თეთრია, შავის წინწკლებით. თავზედ დიდი ქოჩორი აქვს. თვირი პეპლის მზგავსია (გადაშლილია პეპლის ფრთებივით), მსხვილი კვერცხები იცის, თეთრები, რიცხვით 120—140-დე. დედალი გლახა კრუხი გამოდის. ხორცი იცის გემრიელი, წიწილები მალე იზრდებიან, მაგრამ ნოტიოსი ეშინიანთ. ეს ჯიში კარგი გამოდგება ქუთაისის გუბერნიის მაღლობ, მშრალ ადგილებში.

#### 3, ლა-ფლეში.

საუკეთესო სახორცე ჯიშისაა. მამალი იწონის ცხრა გირვანქამდე, დედალი—8-დე. ფერად შავიც არის და თეთრიც. თვირი ორიანია, მაქებივითა. იძლევა მსხვილსა და თეთრ კვერცხს. ივარგებს ჩვენში ყველგან.

#### 4, დორკინგი

მამალი იწონის ათს და დედალი რვა გირვანქას, ხან-და-ხან მეტი წონისაც გამოდის. ნოტიოსი ეშინიან. კვერცხები იცის მაგარი და მსხვილი. მოკლე ფეხებზედ დგას. წიწილები გამოჰყავს კარგათ.

#### პ ა ს უ ხ ი.

მას აქეთ, რაც „ივერიის“ მე44 №-ში ჩემი წერილი დაიბეჭდა, მრავალი წერილი მომივიდა და მომდის, რომლითაც ჩემი კორესპონდენტები მკითხავენ ფასებს წყლისა და საკვების ჭურჭლებისას, გამოსაჩეკ და წიწილების ხელოვნურად გამოსაზრდელ ყუთებისას. რადგანაც წერილების სიმრავლისა გამო ცალკე პასუხების გაგზავნა ძნელია, ამისთვის საჭიროდ ვრაცხ გაზეთით ვაუწყო ჩემს კორესპონდენტებს მათი სასურველი ცნობები:

1, წყლის სასმელი (ავტომატიური) ჭურჭელი ღირს 3—5 მანეთამდე; საკვების ჭურჭელი 2—4 მანეთამდე. ხის ჭურჭელი საკვებისათვის 1—10 მანეთი.

2, ხელოვნურად წიწილების გამოსაზრდელი ყუთი—7—15 მანეთამდე.

ამათი გამოწერა შეიძლება ქუთაისიდგან (ОТДѢЛЪ ПТИЦЕВОДСТВА).

სხვა-და-სხვა სისტემის გამოსაჩეკ ყუთებს შორის ძალიან გავრცელებულია ეხლა ჰირსონის ყუთი, რომელიც, ხელოვნურის დედლით, ღირს:

| | |
|---|---|
| ყუთი № XX—200 კვერცხის გამოსაჩეკი . . . | 126 მან. |
| „ № X—100 კვერცხის გამოსაჩეკი . . | 78 მ. 75 კ. |
| „ № III—50 „ „ . | 41 მ. 25 კ. |
| „ № I — 12 „ „ . | 15 მ. 75 კ. |

ამ ყუთების გამოწერა შეიძლება რუსეთიდგან: С.-Петербургъ, Демидовъ переул., № 2, А. И. Осипову, ან ინგლისიდგან, შემდეგის ადრესით: Char, Hearson et C°, Ltd. 235 Regent st. London W.

ნ. მკურნალი.

**შეცდომის გასწორება**: „ივერიის“ № 44-ში, წერილის—„სივრცე და მასალა საფრინველოსი“ — ბოლოს, მეოთხე გვერდზე, დაბეჭდილია „გამოსაჩეკი ყუთი“, უნდა იყოს „გამოსაზრდელი ყუთი“.

# დ ე პ ე შ ა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“).

14 მარტი.

**კურსკი.** საერო განათლების საბჭოს წევრი გენერალი რეპინი რევიზიას უკეთებს იქაურს სასწავლებლებს.

**ვარშავა.** ვარშავის საჰიგიენო საზოგადოებაში გუშინ განიხილეს მოხსენება იმის შესახებ, რომ წლევანდელს საექიმო სეზონში გერმანიის კურორტები შესცვალონ ადგილობრივ ან გერმანიის გარეშე კურორტებით.

**მოსკოვი.** ამ კვირაში ჩამოვა აქ იტალიელ მუშათა გუნდი, რომელთაც უნდა გააკეთონ ხელოვნებათა მუზეუმის მარმარილოს კედლები.

**ასტრახანი.** ხვალ ზღვაში მიდის პირველი გემი.

**სოფია.** ოფიციალური გაზეთი „Bulgarie“ უარჰ-ყოფს ბოლგარელ და უცხოელ გაზეთების მიერ გავრცელებულ ხმას, ვითომც რევოლუციონერთა ბრბონი შესიენ ოსმალეთის ტერიტორიას. გაზეთი ამბობს, რომ მთავრობა ყოველთვის შეასრულებს თავისს მოვალეობას, თუ ბოლგარიაში არსებული ორგანიზაციები კანონიერებას დაარღვევენ.

**ბერლინი.** რუსეთის საბანკო აქციებმა მაგრად მოიკიდეს ფეხი.

**ბერლინი.** გუშინ გამოქვეყნდა პროექტი რუსეთის 1901 წ. 4% სესხის (138.900.000 მ.) გამოცემის შესახებ.

**პეტერბურგი.** საპატიმროთა მოღვაწეების კრებამ სასურველად იცნო სატუსაღოთა სახელოსნოების სატუსაღოთაგან განცალკევება. 14 მარტს კონსტანტინეს საარტილერიო სკოლამ იდღესასწაულა დაარსების დღე, პარაკლისს ეკკლესიაში დაესწრო სკოლის შეფი გენერალ-ფელდცეხმეისტერი დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე და სამხედრო სასწავლებლების უფროსი დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე. 13 მარტს საქველმოქმედო წარმოდგენას მიხეილის თეატრში დაესწრნენ ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული და საიმპერატორო სახლის წევრნი.

13 მარტი.

**ვენეცია.** ჩამოვიდა მინისტრი პრინეტტი და ინახულა გერმანიის კანცლერი ბიულოვი.

**ვილნა.** შესდგა საერთო კრება იმპერატორ ალექსანდრე III-ის რუსულის საისტორიო განათლების მოყვარულთა საზოგადოების აქაურ განყოფილებისა. განყოფილების თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა გენერალ-ლეიტენანტი ვალი.

**კოპენჰაგენი.** ჩამოვიდა ბრიტანის დედოფალი.

**პარიჟი.** დღეს ჰქონდა საზოგადო წლიური კრება რუსეთის სავაჭრო პალატას მოქმედებს მეორე წლის ე. ი. 1901 წლის ანგარიშის დასამტკიცებლად.

**პეტრბურგი.** სენატორი კალაჩიოვი და თავადი ობოლენსკი დანიშნულ იქმნენ სახელმწიფო საბჭოს წევრად.—რადგან ხოლერით ავადმყოფობაა არაბეთში, გეჯასში და ჩინეთში-კანტონში, ამ ადგილებიდგან შავის ზღვის სადგურებში მიმავალი გემები, უნდა გაჩერდნენ თეოდოსიაში კარანტინის ქვეშ.—შინა-მრეწველობის კრებამ დაადგინა, იშუამდგომლოს, რომ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებათა ნება მიეცესთ დაარსონ შინა-მრეწველობის სამზრუნველოები.—მოკლე დროში კავკასის რკინის გზის საზოგადოება გამოკვლევას შავის ზღვის კავკასიის ნაპირად რკინის გზის გასაყვანად.—სატუსაღოთა მოღვაწეების კრებამ დაადგინა: „კრება სთვლის სასურველად, რომ სამუშაოს ამორჩევის დროს საპატიმროთა ადმინისტრაციამ სახეში მიიღოს იმდენად არა შრომის შემოსავლიანობა, არამედ მისი სარგებლობა თვითონ პატიმართათვის.“

### პეტერბურგის ბირჟა 8 მარტი.

ვექსილის კურსი 9 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. . . . . | 94 |
| ბერლინში 100 მარკაში . . . . . | — |
| პარიჟში 100 ფრანკში . . . . . | — |
| ლონდონში ჩეკები . . . . . . | 94, |
| ბერლინში „ . . . . . . | 46,30 |
| პარიჟში „ . . . . . . | — |
| ბირჟის დისკონტი . . . . . | $4^1/_2$—$6^1/_2$% |
| 4% სახელმწიფო რენტა . . . . | $96^5/_8$ გაყიდ. |
| $4^1/_2$% შინაგანი სესხი 1893 წ. | $93^3/_4$ წერ.გაყიდ. |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა . . . | — |
| 5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ. . . . . | $470^1/_2$ გაყიდ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. . . . . | $369^1/_2$ გაყიდ. |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. | 307 გაყიდ. |
| $4^1/_2$% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა . . . . . . | $94^7/_8$ |
| 5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ. . . . . . | — |
| $4^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა. . . . . . | — |
| 5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. . . . | $83^1/_4$ გაყიდ. |
| $4^1/_2$% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა. . . . . . | — |
| 6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ. . . . . . . | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | — |
| პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ. | 10,671 წვ. გაყ. |
| აქციები „ . . . . . | 531 გაყიდ. |
| „ კასპიის ამხანაგობისა. | 4,750 გაყიდ. |
| „ ბაქოს ნავთის საზოგად. | 435 გაყ. |
| „ ა. ი. მანთაშევისა და ამხ. | — |
| ნავთის სამრეწვ. საზოგად. . . | 226 წვ. გაყ. |

### ყოველ-დღიური საჭირო ცნობები:

კავკასიის რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 15 ოქტომბრიდგან 1901 წლისა (ფრჩხილებში ჩასმული ციფრები ტფილისის საათით უჩვენებენ დროს. ფრჩხილებს გარეთ—პეტერბურგის საათით)

**მატარებელი მიდის ტფილისიდგან ბათუმში:**

ფოსტის მატარებელი № 3 საღამოს 7 ს. 54 წ. (8 ს. 52 წ.) ბათუმში ჩავა დილის 8 ს. 33 წ. (9 ს. 31 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 5 დილის 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.), ბათუმში ჩავა საღამოს 9 ს. 28 წ. (10 ს. 26 წ.).

**ტფილისიდგან ბორჯომში:**

სამგზავრო მატარებელი № 67 დღის 1 ს. 44 წ. (2 ს. 42 წ.), ბორჯომში ჩადის საღამოს 6 ს 40 წ. (7 ს. 38 წ.)

**ტფილისიდგან ბაქოში:**

სწრაფი მატარებელი № 2 კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით, დღის 2 ს 32 წ. (3 ს. 30 წ.), ბაქოში ჩადის ღამის 3 ს. 58 წ. (4 ს. 56 წ.).

ფოსტის მატარებელი № 4 დილის 11 ს. 47 წ. (12 ს 45 წ.), ბაქოში ჩადის დილის 6 ს. 33 წ. (7 ს. 31 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 6 საღამოს 9 ს. 36 წ, (10 ს. 34 წ.), ბაქოში ჩადის დღის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.).

**ტფილისიდგან ყარსში:**

ფოსტის მატარებელი № 58—59 საღამოს 10 ს. (10 ს. 58 წ.) ყარსში ჩადის დღის 12 ს. 28 წ. (1 ს. 21 წ.)

**ბათუმიდგან ტფილისში:**

ფოსტის მატარებელი № 4 ღამის 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 10 ს. 45 (11 ს. 43 წ.)

სამგზავრო მატარებელი № 6 დილის 8 ს. 58 წ., (9 ს. 56 წ.) ტფილისში ჩამოდის საღამოს 8 ს. 33 წ. (9 ს. 31 წ.).

**ბაქოდგან ტფილისში:**

სწრაფი მატარებელი № 1 ოთხშაბათობით, ღამის 10 ს. 41 წ. (11 ს. 39 წ.), ტფილისში ჩამოდის დღის 12 ს. 47 წ. (1 ს. 45 წ.).

ფოსტის მატარებელი № 3, ღამის 12 ს. 2 წ. (1 ს.). ტფილისში მოდის, საღამოს 6 ს. 24 წ. (7 ს. 22 წ.)

სამგზავრო მატარებელი № 5, დღის 3 ს. 35 წ. (4 ს. 33 წ.), ტფილისში მოდის დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

**ბორჯომიდგან ტფილისში:**

სამგზავრო მატარებელი № 66, ღამის 1 ს. 50 წ. (2 ს. 48 წ.).

**ყარსიდგან ტფილისში:**

ფოსტის მატარებელი № 60—61 დილის 4 ს. 12 წ. (5 ს. 10 წ.) ტფილისში ჩამოდის დილის 6 ს. 47 წ. (7 ს. 45 წ.).

**ქუთაისიდგან** ბაქო-ტფილისისაკენ: 1) გადის შუადღის 12 ს. 20 წ. (1 ს. 18 წ.) 2)—შუადღის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.).

**ქუთაისიდგან** შორაპნამდე—გადის ნაშუადღევის 3 ს. 30 წ. (4 ს. 28 წ.).

**ქუთაისიდგან ბათუმში:**

1) მატარ. გადის ღამის 3 ს. 32 წ. (4 ს. 30 წ.) (ამავე მატარებლით შეიძლება შორაპნამდე მიმავალ მატარებლით წასვლა რიონიდგან); 2) გადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

# განცხადება

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

აუწყებს ბ-ბ. ამომრჩეველთ, რომ ვისაც ჰსურს თავის სახელზე ქონებათა გადატანა და აგრეთვე განცხადების შემოტანა მასზე, თუ რომელ საარჩევნო უბანში ჰსურს მიიღოს მონაწილეობა ტფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანთა მომავალს არჩევანებში, ყველა ამის საბუთის ქაღალდების წარმოდგენის ვადა განგრძობილია 1902 წლის 10-ს აპრილამდის.

(3—6.—2)

**ზნე-ხასიათის გამასწორებელ** სამიწათმოქმედო და სახელოსნო ახალშენებისა და თავ-შესაფართა კავკასიის საზოგადოების გამგეობა, საზოგადოების წესდების მე-16 §-ის თანახმად, უმორჩილესად სთხოვს ბ-ნნთ წევრთ საზოგადოებისათ მობრძანდნენ ჩვეულებრივს საზოგადო კრებაზედ, რომელიც იქმნება ტფილისის სამოსამართლო პალატის დარბაზში ორშაბათს, 25 ამა მარტისას, 1902 წ. დილის 12 საათზედ.

**საგანნი განხილვისა:**

1. ანგარიში გამგეობის მოქმედებისა 1901 წლისა.
2. ფულის ანგარიში საზოგადოებისა 1901 წლ.
3. ანგარიში ზნე-ხასიათის გამასწორებელ ახალშენთა 1901 წ.
4. სავარაუდო შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა 1902 წ.
5. მოხსენება სარევიზიო კომისიისა 1901 წლის ინგარიშისა და შემოსავალ-გასავლის აღრიცხვისა 1902 წლის თაობაზედ.
6. არჩევანი გამგეობის ახალ წევრთა იმათ მაგიერ, რომელნიც ანებებენ თავს თავისს თანამდებობას საზოგადოების წესდების 22 §-ის თანახმად.
7. ფ. ა. ბიკოვის მიღების საქმე საზოგადოების საპატიო წევრად.
8. წესდების მე-2 §-ის გამოცვლის შესახებ.

შენიშვნა: საზოგადო კრება შესდგება, თუ კრებას დაესწრება 20 წევრზედ არა ნაკლები (17 § საზოგადოების წესდებისა).

(3—3)

**წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის-მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:**

ამოდის ნათლება, ვაჟა-ფშაველასი . 15 კ.
ამბავნი და მოთხრობანი, გრ. ყიფშიძისა 15 „
ახუნდი, ვაჟა-ფშაველასი . . 5 „
ანტონიოს და კლეოპატრა, შექსპირისა 30 „
აბო ტფილელი, ე. კ. . . 30 „
Або Тифлисскій, Е. К. . . 5 „
ამბავი მადლის ქვისა . . 5 „
აკაკი საუმაწვილო, მოთხრ. ი. გოგებაშვ. 15 „
ათონის ივერიის მონასტრის ხელთ-ნაწერი . . . . 1 მ. 50 „
ბერანჟე, თარგ. გ. გვაზავასი . 40 „
ბენია. . . . . 10 „
ბუნების სოფლარი მოვლენანი, ს. ჯუღელისა . . . . 15 ,
ბაში-აჩუკი, აკაკისა. . . . 30 „
ბუნება სურათებში, ი. ალხაზიშვილისა 1 მ. 30 „
გლეხი-კაცის ისტორია, III - IV ტ. 1 მ. 20 „
გამზრდელი, აკაკისა . . . 5 „
გასართობი . . . . 10 „
გოგებაშვილი იაკობ, ზ. ჭ—სა . 15 „
გუსტავ ვაზა . . . 5 „
Грузинскій отрывокъ Калилы и Димны, А. Хахановъ . 60 „
გიორგი და მიხეილი . . . 10 „
Древный Анчисхатскій соборъ.
ქართველი წმიდანები, გ. იოსელიანისა „ 40
შრომა და ბედნიერება, თარგ. ნინიძისა „ 30
ჩანგი, ვ. აბაშიძისა . . . 1 „
ჩემი აზრი და ფიქრები, ს. ხუნდაძისა.
Царица Тамара, М. Джанашвили . . . . „ 50
ცისარტყელა, ავ. ცაგარელისა . „ 30
ცხოვრების სარკე II, გამოც. ი. იმედაშვილისა . . . 1 “
Характеристики и воспоминанія Г. Туманова . . . „ 50
Карбеловъ . . . . „ 20
დედა, ანდერსენისა . . . 8 „
დამონებულნი, თარ. თ. სახოკიასი . 1 მ. „
დაუჯდომელი წმ. ნინოსი . . 20 „
Двѣ святины въ Кахетіи, Е. К. 10 „
Давидъ Гареджели, Е. К. . 15 „
ეტიუდები, თ. ხუსკივაძისა . . 15 „
ელენე, მოთხრობა . . . 5 „
Вступленіе Грузіи въ составъ Росс. имперіи, М. Хелтуплишвили 40 „
Назрѣвшій вопросъ, Е. К. . 20 „
ოცი წლის წინედ, გ. წერეთლისა . 5 „
Очерки по истор. Грузин. словесности, т. III Хахановъ . 3 „
პატარა ლორდის თავგადასავალი . 30 „
პატრა ვეფხვის ტყაოსანი. . . 25 „
რამს გამდევნა, თარგ. ალ. ს—შვილისა 40 „
სიტყვიერების თეორია, ევ. კირიონისა და გრ. ყიფშიძისა . . 1 „
სპარტაკი, თარგ. ნ. ყიფიანისა. . 60 „
აერო დღესასწაული . . . 25 „
Въ Барсовой кожѣ, Мкинвари 1 р. „
ზურაბის კოშკი, ივ. ბ—ლისა. . 3 „
Заслуги Грузинскаго монашества, Е. К . . . 30 „
თხზულებანი ვაჟა-ფშაველასი . . 1 მ.
თეორია სიტყვიერებისა, კელენჯერიძისა 40 „
თამარ-დედოფლის სამკაული . . 10 „
თამარ დაზნელი, ან. ფურცელაძისა . 50 „
ისტორია ქართულ სტამბებისა. . 15 „
იანიჩარი, დ. ნახუცრიშვილისა. . 40 „
კონსპექტები საქართველოს ისტორიიდგან I—II ჰრ. ქუთათელაძისა . 60 „
კოპერნიკიდან დარვინამდე . . 10 „
კანდელი, მ. ლელაშვილისა . . 15 „
Краткій очеркъ исторіи Грузинской церкви, Е. К. 1 р. 50 к.
Краткій очеркъ Грузинской народной музыки, И. Каргаретели . . . . 30 „
კუბიკები ქართულის ანბანის . 1 მ. 20
ლექსები გიდეგილისა . . . „ 50
ევდოშვილისა . . . . „ 50
რ. აბაშიძისა . . . . „ 60
დ. გაბრუაშვილისა . . . „ 25
მელის წიგნი, კ. თაყაიშვილისა . „ 40
მუშათა კითხვა . . . . „ 15
მოგზაურობა იერუსალიმში, დეკ. პ. ყანჩოშვილისა . . . 1 „
მოძღვრებანი, ი. გამრეკელისა. . „ 40
მეცნიერებისთვის წამებულნი . . 1 „
Мцхетъ и его Соборъ, А. Натроева . . . . . 1 50
ნელო და პატრაში, თრ. ელ. წერეთლისა „ 10
ნათელა, აკაკისა . . . „ 20
ნიკოლოზ ნიკოლაძე, ზ. ჭ—ისა . „ 20
ნამდვილი სამსახური პოტაპენკოსი . „ 40
Новая постановка педагогическаго дѣла . . . „ 20
სამი პოემა, ან. ფურცელაძისა. . „ 50
სხივი წარსულისა, ი. გოგებაშვილისა. „ 5
საარაკო თავგადასავალი ტახტის მემკვიდრისა, ი. გოგებაშვილისა . „ 10
სახუმარო გასართობი . . . „ 10
სამეგრელოს აღწერა, თარ. ა. ჭყონიასი . . . . 1 „
სამხრეთი საქართველო, ზ. ჭ-სა . „ 30
საუმაწვილო ამბები, ეკ. გაბაშვილისა. „ 50
სუმბული, ს. ქვარიანისა. . . „ 20
ტარტიუფი, თარგ. ივ. მაჩაბლისა „ 50
უკვდავთა დაღადებანი, მ. ჯანაშვილისა „ 15
ქართული სახალხო სიმღერები, ი. კარგარეთელისა . . . „ 50
ქრისტინე, ე. ნინოშვილისა . . „ 20
ქართული მწერლობა, მ. ჯანაშვილისა „ 40
ქეთო და კოტე, საუმაწვილო მოთხრობა „ 5
ქართველების გათათრება, ზ. ჭ—ისა „ 25

Дозволено цензурою. Тифлисъ 15 мар. 1902 г. Типографія А. М Сударевой, въ Тифлисѣ, Дворц. ул., д. Груз. Дворянства. დროებითი რედაქტორი ა. ი. სარაჯიშვილი. გამომცემელი ი. ჭავჭავაძე.